

მარიკა ბურავა*

პროდუქტის წარმოშობის პრეფერენციული და არაპრეფერენციული წესები და მათი მნიშვნელობა საერთაშორისო სავაჭრო სამართალში

წარმოშობის წესები (*Rules of Origin*) წარმოადგენს საერთაშორისო სავაჭრო სამართლის ქვაკუთხედს, რომელიც ემსახურება საქონლის კლასიფიკაციას წარმოშობის („ეკონომიკური ეროვნების“) მიხედვით. წარმოშობის წესებს ფუნდამენტური მნიშვნელობა ენიჭება თავისუფალ სავაჭრო შეთანხმებებში, რომლებიც პრეფერენციულ რეჟიმში მონაწილე სუბიექტებისთვის არსებით სატარიფო და არასატარიფო პრეფერენციებს ითვალისწინებს (პრეფერენციული წარმოშობის წესები). ამასთანავე, წარმოშობის წესებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ისეთი სავაჭრო მექანიზმების გასატარებლად, როგორიცაა, ანტიდამპინგური ზომები, რაოდენობრივი კვოტები, სავაჭრო ემბარგო, მარკირების მოთხოვნები, და დამცავი ღონისძიებები (არაპრეფერენციული წარმოშობის წესები).

წინამდებარე სტატია იკვლევს წარმოშობის პრეფერენციული და არაპრეფერენციული წესების სამართლებრივ ჩარჩოს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (*WTO*) ფარგლებში. სტატიაში განიხილება წარმოშობის წესების ფუნდამენტური როლი თავისუფალი ვაჭრობის დინამიკის ფორმირებაში, ისევე, როგორც მათი გავლენა იმ სახელმწიფოთა სავაჭრო პოლიტიკაზე, რომელთა ხელშიც წარმოშობის წესები შესაძლოა იქცეს პროტექციონიზმის გატარების მექანიზმად და თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შემზღუდველ „ფარულ იარაღად“. სტატიაში, ასევე, გაანალიზდება ის პრაქტიკული გამოწვევები, რომლებიც უკავშირდება წარმოშობის წესების გამოყენებას გლობალურ სავაჭრო რეჟიმებში.

საკვანძო სიტყვები: თავისუფალი ვაჭრობა, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, ეკონომიკური ეროვნება, პროტექციონიზმი, არსებითი ტრანსფორმაცია, სატარიფო კლასიფიკაცია, პრეფერენციული მოპყრობა.

1. შესავალი

თანამედროვე გლობალიზებულ სამყაროში, რომელიც კომპლექსური და დინამიკური ეკონომიკური ურთიერთობებით ხასიათდება, საერთაშორისო სავაჭრო სამართლის მექანიზმებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება თავისუფალი ვაჭრობის შეუფერხებლად რეალიზებისა და საბაზრო ეკონომიკის სტაბილური განვითარებისთვის. გლობალური თავისუფალი ვაჭრობის ფართო ქსელში, რომელშიც საქონელი შეუფერხებლად კვეთს სახელმწიფოთა საზღვრებს და იკავებს ადგილს საერთაშორისო ბაზრებზე, საქონლის წარმოშობის წესების კონცეფციას სახელმწიფოებს შორის ორმხრივი და მრავალმხრივი ლიბერალური ეკონომიკური ურთიერთობების ჩამოყალიბებისა და ეროვნულ დონეზე სახელმწიფოთა სუვერენულ ინტერესებზე მორგებული ეფექტიანი სავაჭრო პოლიტიკის განსაზღვრისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

საქონლის წარმოშობის წესები (*Rules of Origin*) წარმოადგენს საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში კონკრეტული პროდუქტის წარმომავლობის („ეროვნების“) დადგენის მთავარ მექანიზმს. მასთან დაკავშირებული რეგულაციები სახელმწიფოებს აძლევს საშუალებას,

* სამართლის მაგისტრი (LL.M. ჩიკაგო, აშშ), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი და ასისტენტი კერძო სამართლის მიმართულებით, ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მიწვეული მკვლევარი.

მოახდინონ მკაფიო დიფერენცირება შიდა ბაზარზე წარმოებულ პროდუქტსა და უცხო ბაზრიდან იმპორტირებულ საქონელს შორის და გამოიყენონ მათ მიმართ შესაბამისი სამართლებრივი რეჟიმი ეროვნულ დონეზე. საქონლის წარმოშობის წესებს ფუნდამენტური მნიშვნელობა ენიჭება თავისუფალ სავაჭრო შეთანხმებებში (Free Trade Agreement – FTA), რომლებიც მონაწილე სუბიექტებისთვის სავაჭრო სფეროში არსებით სატარიფო და არასატარიფო პრეფერენციებს ითვალისწინებს. პროდუქტის წარმოშობის დადგენისთვის მკაფიო კრიტერიუმების დადგენით საქონლის წარმოშობის წესები უზრუნველყოფს იმას, რომ კონკრეტული სავაჭრო შეთანხმებიდან გამომდინარე პრივილეგიებითა და პრეფერენციებით მხოლოდ მასში მონაწილე მხარეებმა ისარგებლონ.

საქონლის წარმოშობის წესები მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სახელმწიფოთა ეკონომიკური ინტეგრაციის გაღრმავებას და, ასევე, უზრუნველყოფს ეფექტიანი ბალანსის შენარჩუნებას სამართლიან კონკურენციასა და თავისუფალი ვაჭრობის კონცეფციასთან შეუთავსებელ პროტექციონისტულ სავაჭრო პოლიტიკას შორის, რომელიც, შესაძლოა, გამოყენებული იქნეს სახელმწიფოთა მიერ ეროვნული წარმოების ხელშეწყობისა და იმპორტირებულ საქონელთან მიმართებაში ადგილობრივი მწარმოებლებისთვის შიდა ბაზარზე უპირატესობის მიანიჭებისთვის. საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში სამართლიანი კონკურენციის ჩარჩოს განსაზღვრის, გლობალურ და რეგიონულ დონეზე ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობისა და ეროვნული ინტერესების დაცვის გზით, საქონლის წარმოშობის წესები ხელს უწყობს თავისუფალ ვაჭრობაში ჩართული სახელმწიფოების სტაბილურობას, კეთილდღეობასა და ეკონომიკურ განვითარებას.

გლობალური ბაზრების სწრაფი განვითარებისა და ეკონომიკური ურთიერთობების ტრანსფორმაციის პარალელურად, საქონლის წარმოშობის წესების კომპლექსურობა და მათთან დაკავშირებული გამოწვევებიც მუდმივად იზრდება. თანამედროვე ეპოქაში პროდუქტის წარმოების პროცესი ხშირად სცდება ერთი სახელმწიფოს საზღვრებს და რამდენიმე ქვეყანას მოიცავს. ცალკეული კომპონენტები, რომელთა გამოყენებითაც ხდება საბოლოო პროდუქტის შექმნა, ხშირად წარმოებულია სხვადასხვა ქვეყანაში. შესაბამისად, საბოლოო პროდუქტის წარმოშობის დადგენა ხშირად რთულ ამოცანას წარმოადგენს. ამასთანავე, გლობალიზაციის შედეგად, სავაჭრო სფეროში პროდუქტის მიწოდების ტრადიციულმა მოდელებმაც განიცადეს ძირეული ტრანსფორმაცია. თანამედროვე მიწოდების ჯაჭვები (Supply Chains) ჩამოყალიბდა კომპლექსურ სისტემებად, რომელთა ეფექტიანობისთვის წარმოშობის წესები მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

გასული საუკუნის მეორე ნახევარში გლობალური სავაჭრო ურთიერთობების სამართლებრივი ჩარჩოს განვითარებისა და სახელმწიფოთა შეთანხმების საფუძველზე მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (World Trade Organization – WTO) ჩამოყალიბების პარალელურად, ბილატერალურ და მულტილათერალურ დონეზე თავისუფალი სავაჭრო შეთანხმებების ოდენობის მუდმივი ზრდიდან გამომდინარე, საქონლის წარმოშობის წესების შესწავლის პროცესი კიდევ უფრო რთულდება, რადგან აღნიშნული სავაჭრო შეთანხმებები ხშირად მოიცავს ერთმანეთისგან განსხვავებულ კრიტერიუმებს იმის დასადგენად, უნდა მოექცეს თუ არა კონკრეტული პროდუქტი პრეფერენციული სავაჭრო მოპყრობის რეჟიმის ქვეშ. შესაბამისად, თანამედროვე საერთაშორისო სავაჭრო სამართალი (International Trade Law) ჩამოყალიბდა კომპლექსურ სამართლებრივ სისტემად, სადაც ერთმანეთის პარალელურად ორმხრივ და მრავალმხრივ დონეზე სახელმწიფოებს შორის სხვადასხვა სავაჭრო რეჟიმი ერთდროულად მოქ-

მედებს. ამასთანავე, დღევანდელი საერთაშორისო სავაჭრო სამართლის ფრაგმენტაციიდან გამომდინარე, არსებობს მუდმივი კოლიზიის საფრთხე სახელმწიფოთა მიერ ორმხრივ და მრავალმხრივ რეგიონულ სავაჭრო შეთანხმებებში (Regional Trade Agreements – RTAs) აღებული ვალდებულებებსა და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ფარგლებში მოქმედ გლობალურ სავაჭრო რეჟიმს შორის, რომელსაც სახელმწიფოთა უმრავლესობა, მათ შორის საქართველოც, მიეკუთვნება.

წინამდებარე სტატიის ძირითად თემას წარმოადგენს საქონლის წარმოშობის წესებთან დაკავშირებული სამართლებრივი ასპექტები, რომლებიც საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კონტექსტში განიხილება. წარმოშობის წესებზე მსჯელობისას, რომლებიც პროდუქტის წარმოშობის დადგენის ძირითად მექანიზმს წარმოადგენს და მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საბაჟო ტარიფებსა და სავაჭრო პრეფერენციებზე, ყურადღება გამახვილდება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის სამართლებრივ ჩარჩოზე. სტატიაში განიხილება, ასევე, საქონლის წარმოშობის წესების კონცეფცია. სტატიაში დეტალურად იქნება გაანალიზებული საქონლის წარმოშობის წესების კლასიფიკაცია და პროდუქტის წარმოშობის დადგენის კრიტერიუმები მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წარმოშობის წესების შეთანხმების ფარგლებში.

წინამდებარე სტატიაში მოხდება გლობალური ვაჭრობის კონტექსტში საქონლის წარმოშობის წესების აქტუალური გამოწვევების განხილვა და საერთაშორისო სავაჭრო სამართალში საქონლის წარმოშობის წესების პრაქტიკულ მნიშვნელობაზე მსჯელობა; გაანალიზებული იქნება წარმოშობის წესებთან დაკავშირებული სტანდარტები მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის სამართლის ფარგლებში, ისევე, როგორც წარმოშობის დადგენისთვის რელევანტური კრიტერიუმები და შეფასების ტესტები საერთაშორისო და ეროვნული სამართლის ჩრილში, განსაკუთრებით, არსებითი ტრანსფორმაციის პრინციპის კონტექსტში, რითაც შესაძლებელია შეფასდეს მენარმე სუბიექტებსა და სავაჭრო პოლიტიკაზე საქონლის წარმოშობის წესების გავლენა.

2. საქონლის წარმოშობის წესების კონცეფცია და მისი ძირითადი არსი

საქონლის წარმოშობის წესები თანამედროვე საერთაშორისო სავაჭრო სამართალში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. წარმოშობის წესების საშუალებით სახელმწიფოები განსაზღვრავენ საქონლის წარმომავლობის ადგილის დადგენის კრიტერიუმებს.¹ წარმოშობის წესების არსებობა აუცილებელია სახელმწიფოთა მიერ დიფერენცირებული სავაჭრო პოლიტიკის იმპლემენტაციისთვის, მაგალითად, ისეთ შემთხვევებში, როცა განვითარებული ქვეყნებიდან იმპორტირებული საქონლისთვის უფრო მაღალი ტარიფის დაწესება უნდა მოხდეს, ვიდრე ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნებიდან შემოსული საქონლისთვის, ან როცა სახელმწიფოს სურს დაბალი ან ნულოვანი ტარიფის დაწესება პრეფერენციულ სავაჭრო ზონაში (Preferential Trading Area – PTA) მონაწილე პარტნიორი ქვეყნებიდან შემოსული იმპორტირებული საქონლისთვის, ან როცა საჭიროა არასამართლიანი ვაჭრობისგან დამცავი მექანიზმების (Trade Remedies) გამოყენება.²

¹ იხ. შეთანხმება წარმოშობის წესების შესახებ (Agreement on Rules of Origin), WTO, მუხლი 1 პუნქტი 1.

² Matsushita M., Schoenbaum T. J., Mavroidis P. C., Hahn M., The World Trade Organization Law, Practice, and Policy, Third edition, 2017, 237.

საქონლის წარმოშობის წესების ერთიანი ცნება საერთაშორისო სავაჭრო სამართალში არ არის ჩამოყალიბებული. თუმცა, ის შეიძლება განიმარტოს, როგორც იმ კრიტერიუმების ერთობლიობა, რომელიც პროდუქტის წარმომავლობას განსაზღვრავს სავაჭრო სფეროში. აღსანიშნავია, რომ პროდუქტის წარმომავლობა წარმოშობის წესების კონტექსტში არ გულისხმობს გეოგრაფიულ ადგილს, საიდანაც მოხდა პროდუქტის შემოტანა (იმპორტი), არამედ პროდუქტის წარმომავლობა გაგებული უნდა იქნეს, როგორც მისი „ეკონომიკური ეროვნება“, ³ რომელშიც განმსაზღვრელია პროდუქტისა და მისი შემადგენელი ნაწილების შექმნის პროცესი. როცა პროდუქტი დამზადებულია მთლიანად ერთ ქვეყანაში, მისი წარმოშობის ადგილის დადგენა დიდ სირთულეს არ წარმოადგენს, თუმცა, თანამედროვე ეკონომიკურ სფეროში წარმოების პროცესის ინტერნაციონალიზაციიდან გამომდინარე, მსგავსი მოცემულობა ნაკლებად გვხვდება. ⁴ სავაჭრო ურთიერთობების გლობალიზაციის შედეგად, პროდუქტების წარმომავლობის ქვეყნის განსაზღვრა არსებითად გაძნელდა, რადგან დღევანდელ რეალობაში ექსპორტირებული პროდუქტების უმეტესობა დიდი რაოდენობით იმპორტირებულ ნაწილებსა და მასალებს შეიცავს, რომლებიც სხვადასხვა ქვეყანაშია წარმოებული. ⁵ ბოლო ათწლეულებში თავისუფალი სავაჭრო შეთანხმებების ფართოდ გავრცელება და რეგიონალიზაციის მზარდი ტენდენცია წარმოადგენს არსებით გამოწვევას საერთაშორისო სავაჭრო სამართალში, შესაბამისად, რელევანტურობას იძენს მსჯელობა იმ სტანდარტების შესახებ, რომლებიც შემუშავებულია იმის დასადაგენად, თუ ვის შეუძლია ისარგებლოს კონკრეტული სავაჭრო შეთანხმების შეღავათებით. ⁶

საქონლის წარმოშობის წესები, როგორც პროდუქტის წარმომავლობის დადგენის კრიტერიუმები, აძლევს სახელმწიფოს საშუალებას, განახორციელოს პრეფერენციული სავაჭრო პოლიტიკა პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმის საფუძველზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ⁷ საქონლის წარმოშობის წესები არსებითი მნიშვნელობისაა, ერთი მხრივ, შიდა და გარე (უცხოურ) პროდუქტებს შორის დიფერენცირებისა და ამ უკანასკნელის მიმართ ეროვნული მოპყრობის პრინციპის (**National Treatment**) გამოყენებისთვის, ხოლო, მეორე მხრივ, სხვადასხვა ქვეყნის მსგავს პროდუქტებს შორის დიფერენცირებისა და სავაჭრო პარტნიორი ქვეყნიდან იმპორტირებული პროდუქტის მიმართ პრეფერენციული მიდგომის გამოყენებისთვის, რადგან ყველა იმპორტირებული საქონელი ავტომატურად უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის (**Most Favored Nation Clause – MFN**) ქვეშ არ ექცევა. ⁸

აღსანიშნავია, რომ საქონლის წარმოშობის წესებს, ცალკე აღებულიად, ვერ ექნებათ რამე დადებითი ან უარყოფითი ეფექტი, თუმცა, მათი არსებობა აუცილებელია კონკრეტულ პროდუქტებთან მიმართებაში (სხვა) სავაჭრო მექანიზმების გამოსაყენებლად. ⁹ წარმოშობის

³ Rules of Origin Handbook, The World Customs Organization (WCO), 6.

⁴ Harilal K. N., Beena P. L., Reining in Rules of Origin-Based Protectionism: A Critique of WTO Initiatives, Economic and Political Weekly, Vol. 40, No. 51 (2005), 5419.

⁵ Augier P., Gasiorek M., Lai Tong C., Martin P., Prat A., The Impact of Rules of Origin on Trade Flows, Economic Policy, Jul., 2005, Vol. 20, No. 43, 573.

⁶ Chase K. A., Protecting Free Trade: The Political Economy of Rules of Origin, International Organization, Vol. 62, No. 3 (Summer, 2008), 507.

⁷ Gourdon J., Gourdon K., De Melo J., A (More) Systematic Exploration of the Trade Effect of Product-Specific Rules of Origin, World Trade Review (2023), 22, 421.

⁸ Falvey R., Reed G., Economic Effects of Rules of Origin, Weltwirtschaftliches Archiv, Bd. 134, H. 2, 1998, 209.

⁹ Satapathy C., Rules of Origin: A Necessary Evil?, Economic and Political Weekly, 1998, Vol. 33, No. 35 (1998), 2270.

ნესები მნიშვნელოვან როლს ასრულებს სავაჭრო რეგულაციების აღსრულების პროცესში, რომლებიც მოითხოვს, ერთი მხრივ, ადგილობრივი და უცხოური საქონლის გამიჯვნას, და მეორე მხრივ, დიფერენცირებას სხვადასხვა ქვეყნის მსგავს პროდუქტებს შორის. სავაჭრო რეგულაციები, რომელთა მნიშვნელოვან ელემენტს წარმოშობის წესები წარმოადგენს, შეეხება, მაგალითად, იმპორტისთვის დაწესებულ რაოდენობრივ შეზღუდვებს, იმპორტის აკრძალვას, სავაჭრო ემბარგოს, დაცვით ზომებს, საკომპენსაციო გადასახადებსა და საბაჟო მოსაკრებლების დაბრუნებას.¹⁰ ამასთანავე, კონკრეტული წარმომავლობის მინიჭებით კონკრეტული პროდუქტი, შესაძლოა, მთლიანად გათავისუფლდეს საბაჟო გადასახადისგან (ე.წ. **Duty-free treatment**) ან დაექვემდებაროს შემცირებულ მოსაკრებელს იმის გამო, რომ იგი იმპორტირებულია განვითარებადი ქვეყნიდან, რომელიც პრეფერენციულ მოპყრობას ექვემდებარება, ან შემოტანილია ისეთი სახელმწიფოდან, რომელიც წარმოადგენს იმპორტის მიმღები ქვეყნის პარტნიორს თავისუფალ სავაჭრო ზონაში ან საბაჟო კავშირში.¹¹

მიუხედავად იმისა, რომ საქონლის წარმოშობის წესები გამოიყენება, როგორც საშუალება სავაჭრო მექანიზმების განხორციელების უზრუნველსაყოფად, მათ ბოროტად გამოყენებას შეუძლია ისინი გარდაქმნას სავაჭრო პოლიტიკის იმგვარ ინსტრუმენტებად, რომლებიც თავად იწვევენ თავისუფალი ვაჭრობის შეფერხებას ბაზარზე და ხელს უწყობენ პროტექციონისტული სავაჭრო პოლიტიკის გატარებას.¹² ამასთანავე, სახელმწიფოთა მიერ გამოყენებული არაერთგვაროვანი მიდგომა პროდუქტის წარმოშობის დადგენისას, ისევე, როგორც იმპორტირებული საქონლის წარმოშობის მარკირებასთან (ეტიკეტირებასთან) დაკავშირებული წესები, შესაძლოა რიგ შემთხვევებში თავად იქნეს მიჩნეული დაუშვებელ სავაჭრო ბარიერად.¹³

3. შეთანხმება საქონლის წარმოშობის წესების შესახებ და მისი ძირითადი პრინციპები

საერთაშორისო სავაჭრო სამართალში საქონლის წარმოშობის განსაზღვრას გააჩნია ფუნდამენტური მნიშვნელობა. მიუხედავად ამისა, მკაფიო კრიტერიუმების განსაზღვრა და წარმოშობის წესების ჰარმონიზაცია საერთაშორისო დონეზე წლების მანძილზე ჯეროვნად ვერ ხორციელდებოდა.

გენერალური შეთანხმება ვაჭრობისა და ტარიფების შესახებ (**GATT**), რომლის მიზანსაც წარმოადგენდა საერთაშორისო ვაჭრობაში ბარიერებისა და ტარიფების შემცირება, არ შეიცავდა კონკრეტულ დებულებებს წარმოშობის წესებთან დაკავშირებით, თუ არ ჩავთვლით **GATT**-ის მე-9 მუხლს, რომელიც პროდუქტის მარკირების მოთხოვნებს (**"Marks of origin"**) ეხება.¹⁴ გენერალური შეთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ ადგენს გლობალური ვაჭრობის რეგულირების ძირითად სამართლებრივ ჩარჩოს და წარმოადგენს საერთაშორისო სა-

¹⁰ *Falvey R., Reed G., Economic Effects of Rules of Origin, Weltwirtschaftliches Archiv, Bd. 134, H.2, 1998, 209.*

¹¹ *Satapathy C., Rules of Origin: A Necessary Evil?, Economic and Political Weekly, 1998, Vol. 33, No. 35, 1998, 2270.*

¹² *Harilal K. N., Beena P. L., Reining in Rules of Origin-Based Protectionism: A Critique of WTO Initiatives, Economic and Political Weekly, Vol. 40, No. 51 (2005), 5419.*

¹³ *Satapathy C., Rules of Origin: A Necessary Evil?, Economic and Political Weekly, 1998, Vol. 33, No. 35, 1998, 2270.*

¹⁴ *Das R. U., Ratna R. S., Perspectives on Rules of Origin, 2011, Palgrave Macmillan, 11.*

ვაჭრო სამართლის ფუნდამენტური მნიშვნელობის აქტს, თუმცა **GATT** არ შეიცავს სპეციალურ დანაწესებს, რომლებიც დაარეგულირებს, თუ რა კრიტერიუმებით უნდა მოხდეს საერთაშორისო ვაჭრობაში პროდუქტის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრა. შეთანხმების მონაწილე თითოეულ ქვეყანას შეუძლია განსაზღვროს საკუთარი წარმოშობის წესები და, კონკრეტული რეგულაციის მიზნებიდან გამომდინარე,¹⁵ გამოიყენოს პროდუქტის წარმოშობის დადგენის ალტერნატიული წესები, რომლებიც ასახავს ამ ქვეყნის ჰეტეროგენულ პრაქტიკას.¹⁶

წარმოშობის წესებს (ირიბად) ეხება მხოლოდ გენერალური შეთანხმების ზოგადი დებულებები, როგორცაა, მაგალითად, მისი პირველი მუხლი („უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი“, **MFN**), რომელიც ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს სხვადასხვა ქვეყნის მიერ იმპორტირებულ „მსგავს პროდუქტებზე“ (**Like products**), მათი მოთხოვნის შემთხვევაში, უპირობოდ გაავრცელონ ერთნაირი სავაჭრო პრივილეგიები და შეღავათები, და მე-5 მუხლი, რომელიც ადგენს, რომ თავისუფალ სავაჭრო ზონებში მონაწილე სახელმწიფოებს არ შეუძლიათ, არათანაბარი მოპყრობის აკრძალვიდან გამომდინარე, გაზარდონ სავაჭრო შეზღუდვები გენერალური შეთანხმების წევრი ქვეყნებისთვის, რომლებიც არ არიან ამ თავისუფალი სავაჭრო ზონის ან საბაჟო კავშირის ნაწილი.¹⁷

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ გენერალური შეთანხმების **XXIV** მუხლი, რომელიც საშუალებას აძლევს წევრ ქვეყნებს, გააფორმონ პრეფერენციული სავაჭრო შეთანხმებები (**PTAs**) გარკვეული პირობების დაცვით, პირდაპირ არ ეხება წარმოშობის წესებს, თუმცა, აძლევს წევრ ქვეყნებს უფლებას, მოილაპარაკონ წარმოშობის განსაზღვრის ალტერნატიულ წესებსა და მოთხოვნებზე, მათ შორის დადებული პრეფერენციული სავაჭრო შეთანხმებების ფარგლებში.¹⁸ **GATT** აძლევს წევრებს იმის უფლებას, დაადგინონ საკუთარი წესები იმპორტირებული პროდუქტების წარმოშობის დადგენისა და მარკირებისთვის, რათა ამით დაიცვან მომხმარებელთა ჯეროვანი ინფორმირების ინტერესი.¹⁹ ამავდროულად, დაუშვებელია სავაჭრო დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების გამოყენება ისეთი ფორმით, რომლითაც შესაძლებელია შეიქმნას მცდარი წარმოდგენები საქონლის წარმოშობასთან დაკავშირებით.²⁰ პროდუქტის წარმოშობის მარკირებასთან დაკავშირებული წესები არ შეიძლება იყოს დისკრიმინაციული ან გაუმართლებლად დამაზიანებელი.²¹ პროდუქტის წარმოშობის მარკირების მოთხოვნები, რომლებიც დიფერენცირებულად უწესებს მოთხოვნებს უცხო ქვეყნის პროდუქტებს, შესაძლოა არღვევდეს თანაბარი მოპყრობის პრინციპს, კერძოდ, ეროვნული მოპყრობის პრინციპს (**National Treatment**).²²

მიუხედავად იმისა, რომ გენერალური შეთანხმება ვაჭრობისა და ტარიფების შესახებ (**GATT**) დღემდე არ მოიცავს კონკრეტულ რეგულაციებს პროდუქტის წარმოშობის ქვეყნის იდენტიფიკაციასთან დაკავშირებით, აღნიშნული შეთანხმების არსებობამ 1947 წლიდან და

¹⁵ *Weiler J. H. H., Cho S., Feichtner I., Arato J.*, International and Regional Trade Law: The Law of The World Trade Organization, Unit II: Globalism v. Regionalism, 2016, 7.

¹⁶ *Matsushita M., Schoenbaum T. J., Mavroidis P. C., Hahn M.*, The World Trade Organization Law, Practice, and Policy, Third edition, 2017, 238.

¹⁷ *Das R. U., Ratna R. S.*, Perspectives on Rules of Origin, 2011, Palgrave Macmillan, 11.

¹⁸ იხ. გენერალური შეთანხმება ვაჭრობისა და ტარიფების შესახებ (**GATT**), 1994, მუხლი XXIV.

¹⁹ *Matsushita M., Schoenbaum T. J., Mavroidis P. C., Hahn M.*, The World Trade Organization Law, Practice, and Policy, Third edition, 2017, 237.

²⁰ გენერალური შეთანხმება ვაჭრობისა და ტარიფების შესახებ (**GATT**), 1994, მუხლი IX პუნქტი 6.

²¹ იქვე, მუხლი IX პუნქტები 1 და 4.

²² იქვე, მუხლი III პუნქტი 4; იხ. *Territory of Hawaii v. Harry M. Y. Ho.*, No. 3078, 41 Haw. 565, 571 (1957).

მის ფარგლებში 1995 წლამდე განხორციელებულმა მოლაპარაკებათა რაუნდებმა გაუხსნა გზა საქონლის წარმოშობის წესებთან დაკავშირებულ დისკუსიებს საერთაშორისო სავაჭრო სამართალში და ის გახდა წარმოშობის წესების ჰარმონიზაციის მცდელობების საფუძველი. საბოლოო ჯამში, მიღწეული იქნა შეთანხმება წარმოშობის წესების შესახებ (**Agreement on Rules of Origin**), რომელიც გენერალურ შეთანხმებასთან (**GATT**) ერთად, იქცა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის სისტემის განუყოფელ ნაწილად და რომელმაც დაადგინა ვაჭრობის სფეროში წევრი ქვეყნებისთვის პროდუქტის წარმოშობის განსაზღვრის მინიმალური კრიტერიუმები.²³

ურუგვაის მოლაპარაკებათა რაუნდში მიღწეული შეთანხმება საქონლის წარმოშობის წესების შესახებ (**ARO**) ითვალისწინებს წარმოშობის წესების ჰარმონიზაციის სამუშაო პროგრამას სავაჭრო პოლიტიკის არაპრეფერენციულ მექანიზმებთან დაკავშირებით.²⁴ ამავდროულად, აღნიშნული შეთანხმების მიზანია იმის უზრუნველყოფა, რომ წარმოშობის წესებმა თავად არ შეუქმნას არასაჭირო დაბრკოლებები საერთაშორისო ვაჭრობას.²⁵ წარმოშობის წესების შესახებ შეთანხმებით უნდა მოხდეს წარმოშობის მკაფიო და პროგნოზირებადი წარმოშობის წესების განსაზღვრა და, ამასთანავე, ხელის შეწყობა საერთაშორისო სავაჭრო ნაკადებისთვის, იმგვარად, რომ არ შეილახოს 1994 წლის გენერალური შეთანხმებებიდან (**GATT**) გამომდინარე უფლებები, რომლებიც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოებს აქვთ მინიჭებული.²⁶ შეთანხმება ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს, უზრუნველყონ წარმოშობის წესებთან დაკავშირებული კანონმდებლობის, რეგულაციებისა და პრაქტიკის გამჭვირვალობა და გამოიყენონ ეროვნულ დონეზე წარმოშობის წესები პროგნოზირებადი, თანმიმდევრული და ნეიტრალური ფორმით.²⁷ წარმოშობის წესების შესახებ შეთანხმებამ, აგრეთვე, უნდა უზრუნველყოს წევრი სახელმწიფოებისთვის საკონსულტაციო მექანიზმის არსებობა და მათთვის ხელმისაწვდომი გახადოს საჭირო პროცედურები შეთანხმებიდან წარმოშობის სამართლებრივი დავების სწრაფი, ეფექტიანი და სამართლიანი გადაწყვეტისთვის.²⁸

წარმოშობის წესების შესახებ შეთანხმება ადგენს სამუშაო პროგრამას წარმოშობის წესების ჰარმონიზაციისთვის, რომელიც უნდა განხორციელდეს მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციასთან (**WCO**) თანამშრომლობით.²⁹ ჰარმონიზაციის სამუშაო პროგრამის დასრულებამდე წევრი ქვეყნები ვალდებული არიან, უზრუნველყონ თავიანთი წარმოშობის წესების გამჭვირვალობა.³⁰ წევრი ქვეყნები ვალდებული არიან, მოახდინონ წარმოშობის წესების იმპლემენტაცია თანმიმდევრული, ერთიანი, მიუკერძოებელი და გონივრული გზით და გამოიყენონ მკაფიოდ განსაზღვრული სტანდარტები იმ პირობების დასადგენად, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს პროდუქტი იმისთვის, რომ ჩაითვალოს კონკრეტული ქვეყნიდან ან რეგიონიდან წარმოშობილად (ე.წ. პოზიტიური სტანდარტი).³¹ წარმოშობის წესების შესახებ შეთანხმების ფარგლებში, წევრი სახელმწიფოები შეთანხმდნენ, რომ არ გამოიყენებენ წარმოშობის წესებს სავაჭრო პოლიტიკის მიზნების განსახორციელებლად იმგვარად, რომ ამით ხელი შეეშალოს

²³ *Weiß W., Ohler C., Bungenberg M., Welthandelsrecht. 3. Auflage, 2022, Rn. 446, 177.*

²⁴ *Van den Bossche P., Zdouc W., The Law and Policy of the World Trade Organization, 2021, 502.*

²⁵ იხ. შეთანხმება წარმოშობის წესების შესახებ (**Agreement on Rules of Origin**), WTO, პრეამბულა.

²⁶ *Rules of Origin Handbook, The World Customs Organization (WCO), 12.*

²⁷ იხ. შეთანხმება წარმოშობის წესების შესახებ (**Agreement on Rules of Origin**), WTO, პრეამბულა.

²⁸ *Rules of Origin Handbook, The World Customs Organization (WCO), 12.*

²⁹ *Nell P. G., WTO Negotiations on the Harmonization of Rules of Origin, 33 J. World Trade (1999), 45.*

³⁰ იხ. შეთანხმება წარმოშობის წესების შესახებ (**Agreement on Rules of Origin**), WTO, პრეამბულა.

³¹ იქვე, მუხლი II, პუნქტები "e" და "f".

თავისუფალ ვაჭრობას.³² WTO-ის წევრები იმაზეც შეთანხმდნენ, რომ აცნობებენ სხვა წევრ სახელმწიფოებს და ასევე მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას, შესაბამისი პროცედურის დაცვით, პრეფერენციული წარმოშობის წესების არსებობის შესახებ, რომლებიც კონკრეტული პრეფერენციული სავაჭრო შეთანხმებიდან გამომდინარე მათთვის მოქმედებს, და მიაწვდიან მათ ინფორმაციას რელევანტური ადმინისტრაციული და სასამართლო გადაწყვეტილებების შესახებ, რომლებიც აღნიშნული წესების ზოგად გამოყენებას უკავშირდება.³³

საქონლის წარმოშობის წესების შესახებ შეთანხმება ითვალისწინებს ოთხ ძირითად პრინციპს, კერძოდ, დისკრიმინაციის აკრძალვას, განჭვრეტადობას, გამჭვირვალობასა და ნეიტრალობას, რაც იმას გულისხმობს, რომ: (1) წარმოშობის წესები ერთგვაროვნად უნდა იქნეს გამოყენებული არაპრეფერენციული მოპყრობის ყველანაირი მიზნისთვის; (2) წარმოშობის წესები უნდა იყოს ობიექტური, გასაგები და პროგნოზირებადი; (3) წარმოშობის წესები არ უნდა იქნეს გამოყენებული პირდაპირ ან ირიბად, როგორც ინსტრუმენტები დაუშვებელი სავაჭრო პოლიტიკის მიზნების განსახორციელებლად; და (4) წარმოშობის წესებს თავად არ უნდა ჰქონდეთ შემზღუდველი ან დამაზიანებელი გავლენა საერთაშორისო ვაჭრობაზე.³⁴

მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფოების მიერ დადგენილი საქონლის წარმოშობის წესები არ მოიცავდეს ზედმეტად მკაცრ მოთხოვნებს ან არ მოითხოვდეს წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის წინაპირობად ისეთი პირობების შესრულებას, რომლებიც არ არის დაკავშირებული წარმოებასთან ან გადამუშავებასთან.³⁵ გარდა ამისა, წარმოშობის წესები, რომლებსაც სახელმწიფოები იყენებენ იმპორტებისა და ექსპორტების მიმართ, არ უნდა იყოს იმაზე მკაცრი, ვიდრე ის წესები, რომლებსაც ისინი იყენებენ იმის დასადგენად, არის თუ არა კონკრეტული პროდუქტი ადგილობრივი წარმოებისა და, ამასთანავე, დაუშვებელია არათანაბარი მიდგომის გამოყენება შეთანხმებაში მონაწილე სხვადასხვა წევრი ქვეყნებისა და მწარმოებლების მიმართ.³⁶ წევრი ქვეყნების წარმოშობის წესები დაფუძნებული უნდა იყოს ე.წ. პოზიტიურ სტანდარტზე, თუმცა ნეგატიური დეფინიცია, რომელიც განმარტავს, თუ რა შემთხვევაში არ არის პროდუქტი წარმოშობილი კონკრეტული ქვეყნიდან, დასაშვებია გამონაკლისის სახით, ისეთ შემთხვევებში, როცა, მაგალითად, საჭიროა პოზიტიური სტანდარტის შინაარსის განმარტება.³⁷

საქონლის წარმოშობის წესები ერთგვაროვნად უნდა იქნეს გამოყენებული არაპრეფერენციულ მოპყრობასთან დაკავშირებული ყველა მიზნისთვის იმგვარად, რომ მათი გამოყენებისას უზრუნველყოფილი იყოს ობიექტურობა, სიცხადე და განჭვრეტადობა, თავიდან აცილებული იქნეს წარმოშობის წესების გამოყენება სავაჭრო მიზნების განხორციელების ინსტრუმენტად და არ მოხდეს გაუმართლებელი შეზღუდვების გამოწვევა საერთაშორისო ვაჭრობაში.³⁸ თუ ეს ზოგადი მოთხოვნები დაცულია, სახელმწიფოების მიერ განსაზღვრული წარმოშობის კრიტერიუმები შეიძლება განსხვავდებოდეს და ასახავდეს მათ ჰეტეროგენულ პრაქტიკას.³⁹

³² იქვე, მუხლი II, პუნქტი "c".

³³ იქვე, დანართი II, მე-4 ნაწილი.

³⁴ *Das R. U., Ratna R. S., Perspectives on Rules of Origin*, 2011, Palgrave Macmillan, 13-14.

³⁵ შეთანხმება წარმოშობის წესების შესახებ (Agreement on Rules of Origin), WTO, მუხლი II, პუნქტი "c".

³⁶ იქვე, მუხლი 2, პუნქტი "d".

³⁷ იქვე, მუხლი 2, პუნქტი "f"; იხ. *Matsushita M., Schoenbaum T. J., Mavroidis P. C., Hahn M., The World Trade Organization Law, Practice, and Policy*, Third edition, 2017, 238.

³⁸ იქვე, მუხლი 2, პუნქტები "a", "b", "c".

³⁹ *Matsushita M., Schoenbaum T. J., Mavroidis P. C., Hahn M., The World Trade Organization Law, Practice, and Policy*, Third edition, 2017, 238.

შეთანხმების პირველი მუხლი განმარტავს საქონლის წარმოშობის წესებს, როგორც კანონებს, რეგულაციებსა და მათ ზოგად გამოყენებასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ გადაწყვეტილებებს, რომლებიც გამოიყენება საქონლის წარმოშობის ქვეყნის დასადგენად, გარდა სატარიფო შეღავათების (პრეფერენციების) მინიჭებასთან დაკავშირებული წესებისა, ამრიგად, შეთანხმება უშუალოდ ეხება მხოლოდ წარმოშობის იმგვარ წესებს, რომლებიც არაპრეფერენციულ სავაჭრო პოლიტიკასთან დაკავშირებულ მექანიზმებში გამოიყენება, როგორცაა, უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი (MFN), ანტიდამპინგური და საკომპენსაციო ღონისძიებები, დამცავი ზომები, წარმოშობის მარკირების მოთხოვნები, დისკრიმინაციული რაოდენობრივი შეზღუდვები ან სატარიფო კვოტები, ისევე, როგორც იმ წესებს, რომლებიც გამოიყენება სავაჭრო სტატისტიკისა და სახელმწიფო შესყიდვებისთვის.⁴⁰

საქონლის წარმოშობის წესების შესახებ შეთანხმების (ARO) დებულებები, მართალია, უშუალოდ მხოლოდ არაპრეფერენციულ წარმოშობის წესებზე (Non-preferential Rules of Origin) ვრცელდება,⁴¹ თუმცა ამავე შეთანხმების მეორე დანართი (Annex II) მოცემულია მულტილათერალური პრინციპები პრეფერენციული წარმოშობის წესებისთვის (Preferential Rules of Origin).⁴² წარმოშობის წესების შესახებ შეთანხმება ჰარმონიზაციის სფეროდან გამორიცხავს წარმოშობის წესებს, რომლებიც პრეფერენციულ ტარიფებთან მიმართებით გამოიყენება, თუმცა, ამავე შეთანხმების მეორე დანართი (Annex II) ადგენს რიგ პრინციპებს, რომლებიც სწორედ პრეფერენციული რეჟიმების მიმართ უნდა იქნეს გამოყენებული, კერძოდ, განსაზღვრულია, რომ წარმოშობის პრეფერენციული წესების ფარგლებში მკაფიოდ უნდა განისაზღვროს წარმოშობის მინიჭების მოთხოვნები, ამასთანავე, წარმოშობის წესები დაფუძნებული უნდა იყოს ე.წ. პოზიტიურ სტანდარტზე.⁴³ წარმოშობის პრეფერენციულ წესებთან დაკავშირებული კანონმდებლობა უნდა გამოქვეყნდეს გენერალური შეთანხმების (GATT) მე-10 მუხლის შესაბამისად და აღნიშნული კანონმდებლობა არ შეიძლება იქნეს რეტროაქტიულად გამოყენებული.⁴⁴ შეთანხმების მეორე დანართი ასევე ითვალისწინებს გასაჩივრების ბერკეტს სასამართლო, საარბიტრაჟო ან ადმინისტრაციული პროცედურების მეშვეობით, წარმოშობის დადგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი ადმინისტრაციული ქმედების მიმართ და საიდუმლო ინფორმაციის კონფიდენციალურობის გარანტიას ისევე, როგორც პრეფერენციულ წესებთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციისთვის შეტყობინების ვალდებულებას.⁴⁵ აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებული ზოგადი პრინციპები არ წარმოადგენს საერთაშორისო სტანდარტებს, რადგან რეალურად ყველა სახელმწიფოს შეუძლია გამართოს მოლაპარაკებები და ჩამოაყალიბოს საკუთარი პრეფერენციული წარმოშობის წესები, რომლებიც მორგებულია საკუთარ საჭიროებებზე, ამის შედეგად კი წარმოშობის პრეფერენციული წესები ხშირად განსხვავდება პროდუქტის ტიპებისა და სავაჭრო შეთანხმების შინაარსის მიხედვით.⁴⁶

⁴⁰ იხ. შეთანხმება წარმოშობის წესების შესახებ (Agreement on Rules of Origin), WTO, მუხლი 1 პუნქტი 2.

⁴¹ იქვე.

⁴² Van den Bossche P., Zdouc W., The Law and Policy of the World Trade Organization, 2021, 502, 504.

⁴³ იხ. შეთანხმება წარმოშობის წესების შესახებ (Agreement on Rules of Origin), WTO, დანართი II, პუნქტები "3a", "3b" და "3c".

⁴⁴ Das R. U., Ratna R. S., Perspectives on Rules of Origin, 2011, Palgrave Macmillan, 14.

⁴⁵ Comparative Study on Preferential Rules of Origin, WCO, Version 2017, 22.

⁴⁶ იქვე.

აღსანიშნავია, რომ წარმოშობის წესების შესახებ შეთანხმების მე-9 მუხლის II პუნქტით განისაზღვრა, რომ ჰარმონიზაციის სამუშაო პროგრამა სამი წლის ვადაში, ანუ 1998 წლის ივლისამდე უნდა შესრულებულიყო.⁴⁷ მიუხედავად იმისა, რომ მნიშვნელოვანი პროგრესი იქნა მიღწეული სამუშაო პროგრამის იმპლემენტაციის კუთხით, განსახილველი საკითხების სირთულის გამო, მისი ბოლომდე მიყვანა ვერ მოხერხდა.⁴⁸ ამ პროცესში რელევანტური საკითხების კომპლექსურობის გამო, შეთანხმებაში მითითებული თავდაპირველი ვადა რამდენჯერმე გაგრძელდა და მოლაპარაკებები ჯერ კიდევ მიმდინარეობს რაიმე ფორმალური გრაფიკისა და ფიქსირებული ვადის არსებობის გარეშე.⁴⁹

აღსანიშნავია, რომ ჰარმონიზაციის სამუშაო პროგრამის დასრულების შემდეგ, ყველა წევრი სახელმწიფო ყოველგვარი მიზნისთვის გამოიყენებს მხოლოდ ერთი ტიპის არაპრეფერენციულ წარმოშობის წესებს.⁵⁰ ჰარმონიზაციის სამუშაო პროგრამას (Work Programme for the Harmonization of Non-Preferential Rules of Origin), მართალია, ჯერჯერობით არ მოჰყოლია რაიმე კონკრეტული მულტილათერალური შეთანხმება ჰარმონიზებული არაპრეფერენციული წესების შესახებ, თუმცა გარკვეული წარმატებები მიღწეული იქნა 2005 წლის დეკემბრიდან დღემდე პრეფერენციული წარმოშობის წესების ჰარმონიზაციის კუთხით, კერძოდ, იმ პრეფერენციულ წარმოშობის წესებთან მიმართებაში, რომლებიც ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნებიდან (Least-developed countries) შემოსულ იმპორტებზე გამოიყენება სხვა სახელმწიფოების მიერ.⁵¹

4. წარმოშობის წესების შესახებ შეთანხმების კრიტერიუმები და შეფასების ტესტები

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოები იმპორტირებული საქონლის წარმოშობის დასადგენად ხშირად სხვა წევრი ქვეყნებისგან განსხვავებულ წესებს ადგენენ და ბევრი მათგანი, ამავდროულად, იყენებს დიფერენცირებულ მიდგომას იმის მიხედვით, თუ რა მიზნისთვის უნდა მოხდეს წარმოშობის წესების გამოყენება.⁵² თუმცა, ორი ძირითადი კრიტერიუმი, რომლებიც გამოიყენება საქონლის წარმოშობის დასადგენად, არის ე.წ. მთლიანად მიღებული (წარმოებული) საქონლის კრიტერიუმი (Wholly Obtained/Produced Goods) და არსებითი ტრანსფორმაციის პრინციპი (Substantial Transformation Principle).⁵³

4.1. მთლიანად მიღებული (წარმოებული) საქონლის კრიტერიუმი

ისეთ შემთხვევაში, როდესაც პროდუქტი მთლიანად არის მიღებული ან წარმოებული ერთ ქვეყანაში, მისი წარმოშობის დადგენა შედარებით ადვილია.⁵⁴ აღნიშნული კატეგორია,

⁴⁷ Weiler J. H. H., Cho S., Feichtner I., Arato J., International and Regional Trade Law: The Law of The World Trade Organization, Unit III: Rules of Origin, 2016, 6.

⁴⁸ იქვე.

⁴⁹ Rules of Origin Handbook, The World Customs Organization (WCO), 15.

⁵⁰ Van den Bossche P., Zdouc W., The Law and Policy of the World Trade Organization, 2021, 504.

⁵¹ იქვე, 504, 505; იხ. ასევე Decision on Measures in Favour of Least-Developed Countries, WTO, Uruguay Round Agreement, 1994, <https://www.wto.org/english/docs_e/legal_e/31-dlldc_e.htm> [10.01.2025].

⁵² იქვე, 501.

⁵³ Rules of Origin Handbook, The World Customs Organization (WCO), 9.

⁵⁴ De Wulf L., Sokol J. B., Customs Modernization Handbook, 2005, 184.

როგორც წესი, მოიცავს ბუნებრივ პროდუქტებსა და მათგან დამზადებულ საქონელს, ისევე, როგორც ერთ ქვეყანაში წარმოებულ პროდუქტებს, რომლებიც არ შეიცავს იმპორტირებულ ნაწილებს.⁵⁵ საქონელი, რომელიც მთლიანად მიღებულია განსაზღვრულ ქვეყანაში, არის ამ ქვეყანაში „წარმოშობილი“.⁵⁶

ქართული კანონმდებლობის შესაბამისად, კონკრეტულ ქვეყანაში „მთლიანად მიღებულად“ მიიჩნევა: სასარგებლო წიაღისეული, მოპოვებული ამ ქვეყნის წიაღებიდან, მისი ტერიტორიული წყლიდან ან ზღვის ფსკერიდან; მცენარეული წარმოშობის პროდუქცია, მოყვანილი ან შეგროვებული ამ ქვეყანაში; ამ ქვეყანაში გაჩენილი და გაზრდილი ცხოველები; ამ ქვეყანაში ბინადარი ცხოველებისაგან მიღებული პროდუქტები; ამ ქვეყანაში ნადირობისა და თევზჭერის შედეგად მიღებული პროდუქცია; საწარმოო ოპერაციების შედეგად მიღებული ნარჩენები, ჯართი და ნახმარი ნაკეთობები, რომელთა შეგროვება განხორციელდა ამ ქვეყანაში და რომელთა გამოყენება შეიძლება მხოლოდ ნედლეულად გადამუშავებისათვის და ა.შ.⁵⁷

ევროკავშირში ექსპორტირების მიზნებისთვის კონკრეტული საქონლისათვის ქართული წარმოშობის სტატუსის მისანიჭებლად აუცილებელია ასოცირების შეთანხმების პირველი ოქმით გათვალისწინებული პირობების დაკმაყოფილება, კერძოდ, საქონელი მთლიანად წარმოებული უნდა იყოს საქართველოში ან, იმ შემთხვევაში, თუ საქონელი არ არის მთლიანად წარმოებული საქართველოში, მის მისაღებად გამოყენებულმა მასალამ უნდა განიცადოს საკმარისი დამუშავება-გადამუშავება საქართველოს ტერიტორიაზე.⁵⁸ აღსანიშნავია, რომ საქართველოში საკმარისად დამუშავებულ-გადამუშავებულ პროდუქციად ჩაითვლება ნებისმიერი პროდუქცია, რომელიც არ არის საქართველოში მთლიანად წარმოშობილი, მაგრამ აკმაყოფილებს ასოცირების შეთანხმების პირველი ოქმის II დანართში გაწერილ პირობებს.⁵⁹ გარდა ამისა, ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (Deep and Comprehensive Free Trade Area – DCFTA) პირველ ოქმში,⁶⁰ რომელიც ეხება წარმოშობის წესებსა და ამ სფეროში ადმინისტრაციული თანამშრომლობის მეთოდებს, მითითებულია, რომ შეთანხმების იმპლემენტაციის მიზნებისთვის გამოიყენება „პან-ევრო-ხმელთაშუა ზღვის პრეფერენციული წარმოშობის შესახებ რეგიონული კონვენციის“ (Pan-Euro-Mediterranean Convention on preferential rules of origin – PEM) შესაბამისი დებულებები.⁶¹

აღსანიშნავია, რომ ისეთი ოპერაციები, რომლებიც ემსახურება მხოლოდ საქონლის კარგ მდგომარეობაში შენარჩუნებას მისი ტრანსპორტირებისა და შენახვის მიზნებისთვის,

⁵⁵ იქვე.

⁵⁶ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 16 სექტემბრის დადგენილება №453 „საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის კრიტერიუმების, წარმოშობის დამადასტურებელი სერტიფიკატის ფორმის, მისი შევსებისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ (2019), მუხლი 6 პუნქტი 1.

⁵⁷ იქვე, მუხლი 6 პუნქტი 2.

⁵⁸ იხ. „ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებასა და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის“, I ოქმი, მუხლი 4. <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0>> [10.01.2025].

⁵⁹ იქვე, I ოქმი, დანართი II, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0>> [10.01.2025].

⁶⁰ საქართველოს შეთანხმება ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ (DCFTA – Deep and Comprehensive Free Trade Area), პირველი ოქმი.

⁶¹ იხ. პან-ევრო-ხმელთაშუა ზღვის პრეფერენციული წარმოშობის შესახებ რეგიონული კონვენცია, 2012 (Pan-Euro-Mediterranean Regional Convention on Preferential Origin).

ანდა საქონლის გადაზიდვისა და ტრანსპორტირების გაადვილებას, ან მის შეფუთვისა და გასაყიდად გამოტანას, წარმოადგენს ე.წ. მინიმალურ ოპერაციებს, რომლებიც არ შეიძლება იქნეს გათვალისწინებული იმისთვის, რომ საქონელი ერთ ქვეყანაში მთლიანად მიღებულია ჩაითვალოს (Wholly obtained).⁶²

ქართული კანონმდებლობის შესაბამისად, პროდუქტის წარმოშობის დადგენისათვის (წარმოშობის ცვლილებისთვის) უმნიშვნელოდ მიჩნეულია: ოპერაციები, რომლებიც აუცილებელია საქონლის ტრანსპორტირების ან შენახვის უზრუნველსაყოფად; გარდა ამისა, უმნიშვნელოდ მიიჩნევა საქონლის გარეგანი სახის ან კომერციული ხარისხის გაუმჯობესების ან მისი ტრანსპორტირებისათვის მომზადების ოპერაციები, რომლებშიც შედის საქონლის პარტიის დაყოფა, შეფუთვის დაჯგუფება, სორტირება, მარკირება, მეორეული შეფუთვა; მარტივი აწყობითი ოპერაციები; სხვადასხვა წარმოშობის საქონლის შერევა იმ პირობით, რომ მიღებული პროდუქტის მახასიათებლები არსებითად არ განსხვავდება იმ პროდუქტების მახასიათებლებისაგან, რომელთა შერევაც ხდება.⁶³

4.2. არსებითი ტრანსფორმაცია (Substantial Transformation)

იმ შემთხვევაში, თუ იმპორტირებული საქონელი ვერ აკმაყოფილებს მთლიანად მიღებული საქონლის კრიტერიუმს (Wholly obtained goods) იქიდან გამომდინარე, რომ მისი წარმოების პროცესი ერთზე მეტ ქვეყანაში განხორციელდა, წარმოშობის ქვეყნად უნდა ჩაითვალოს ის ქვეყანა, სადაც საქონელმა განიცადა არსებითი ტრანსფორმაცია, რომელიც გულისხმობს მოპოვებისა და წარმოების იმგვარ პროცესს, რომელიც საქონლის (მასალის, პროდუქტის) ფუნდამენტურ არსსა და ბუნებას განსაზღვრავს.⁶⁴ არსებითი ტრანსფორმაციის პრინციპის ტრადიციული გაგებით,⁶⁵ საქონელი წარმოშობილია იმ ბოლო ქვეყანაში, რომელშიც მას წარმოების პროცესის შედეგად მიენიჭა განმასხვავებელი სახელი, ბუნება ან გამოყენების მიზანი.⁶⁶

აღსანიშნავია, რომ საქონლის არსებითი ტრანსფორმაცია მოითხოვს იმაზე მეტს, ვიდრე უბრალო სუბსტანციური ცვლილება.⁶⁷ არსებითი ტრანსფორმაციის პროცესში პროდუქტი უნდა გარდაიქმნას ახალ და განსხვავებულ პროდუქტად, რომელსაც გააჩნია გამორჩეული სახელი, ბუნება ან გამოყენების ხასიათი ("distinctive name, character, and use").⁶⁸ იმისთვის, რომ პროდუქტი იყოს წარმოშობილი კონკრეტული ქვეყნიდან, ის ამ ქვეყანაში არსებითად უნდა გარდაიქმნას, ხოლო იმისათვის, რომ წარმოების სპეფიციკიდან გამომდინარე, პროდუქტს არ ჰქონდეს წარმოშობის რამდენიმე ქვეყანა, პროდუქტი ითვლება მხოლოდ იმ ქვეყნის საქონლად, სადაც მან ბოლო არსებითი ტრანსფორმაცია განიცადა (Last Substantial

⁶² Inama S., Rules of Origin in International Trade, 2022, 123.

⁶³ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 16 სექტემბრის დადგენილება №453 „საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის კრიტერიუმების, წარმოშობის დამადასტურებელი სერტიფიკატის ფორმის, მისი შევსებისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ (2019), მუხლი 10 პუნქტი 1.

⁶⁴ De Wulf L., Sokol J. B., Customs Modernization Handbook, 2005, 185.

⁶⁵ Weiler J. H. H., Cho S., Feichtner I., Arato J., International and Regional Trade Law: The Law of The World Trade Organization, Unit III: Rules of Origin, 2016, 10.

⁶⁶ Anheuser-Busch Ass'n v. United States, 207 U.S. 556, 562 (1908); Hartranft v. Wiegman, 121 U.S. 609, 615 (1887).

⁶⁷ Weiler J. H. H., Cho S., Feichtner I., Arato J., International and Regional Trade Law: The Law of The World Trade Organization, Unit III: Rules of Origin, 2016, 10.

⁶⁸ იხ. Anheuser-Busch Ass'n v. United States, 207 U.S. 556, 562 (1908); იხ. ასევე United States v. Gibson-Thomsen Co., 27 C.C.P.A. 267 (1940).

Transformation).⁶⁹ მასალების არსებითი ტრანსფორმაცია აფუძნებს ახალ წარმოშობას, შესაბამისად, უცხო ქვეყნის მასალისგან შემდგარი საქონელი უნდა ჩაითვალოს იმ ქვეყნის პროდუქტად, რომელშიც ის არსებითად გარდაიქმნა.⁷⁰

სავაჭრო სფეროში არსებითი ტრანსფორმაცია (Substantial Transformation) შეიძლება განხორციელდეს სამი გზით, კერძოდ, სატარიფო კლასიფიკაციის შეცვლით, ღირებულებითი წილის გაზრდითა და სპეციფიკური წარმოების პროცესის რეალიზებით.⁷¹ საქონლის წარმოშობის განსაზღვრის აღნიშნული მეთოდები შეიძლება გამოყენებული იქნეს როგორც ცალკე, ისე ერთმანეთთან კომბინაციაში.⁷² მართალია, არსებითი ტრანსფორმაციის პრინციპი საყოველთაოდ არის აღიარებული, თუმცა არსებობს მისი პრაქტიკული გამოყენების სხვადასხვა მიდგომა, კერძოდ, ზოგიერთი ქვეყანა ხშირად იყენებს სატარიფო კლასიფიკაციის ცვლილების კრიტერიუმს, ზოგი მათგანი მიმართავს ღირებულებითი წილის კრიტერიუმს, ხოლო სხვა ქვეყნები ყურადღებას ამახვილებენ სპეციფიკური წარმოების (გადამუშავების) კრიტერიუმზე.⁷³

შესაბამისად, საჭიროა დაისვას სამი ძირითადი კითხვა წარმოშობის დასადგენად,⁷⁴ კერძოდ: (1) წარმოებითი ოპერაციების შედეგად მოხდა თუ არა საქონლის სატარიფო კლასიფიკაციის შეცვლა (აღნიშნული წესი გამოიყენება უპირატესად ევროკავშირში);⁷⁵ (2) წარმოებითა პროცესმა გამოიწვია თუ არა არსებითი ტრანსფორმაცია პროდუქტის სახელის, ბუნების, გამოყენების კუთხით;⁷⁶ (3) წარმოებითი პროცესის ფარგლებში მოხდა თუ არა პრეფერენციულ სახელმწიფოში განსაზღვრული ოდენობის პროცენტულობით პროდუქტის ღირებულების ზრდა მასში გამოყენებული შრომისა და მასალის თვალსაზრისით.⁷⁷ სამივე ტესტის კრიტერიუმები შეიძლება გაერთიანდეს ერთ წესში და ერთიანად იქნეს გამოყენებული, ამასთანავე, შესაძლებელია სხვადასხვა შეფასების ტესტის გამოყენება სხვადასხვა შემთხვევაში, კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით.⁷⁸

4.2.1. სატარიფო კლასიფიკაციის ცვლილება

საერთაშორისო სავაჭრო სამართალში საქონლის არსებითი ტრანსფორმაციის დადგენის პირველ მეთოდს წარმოადგენს სატარიფო კლასიფიკაციის ცვლილება (Change in Tariff

⁶⁹ Weiler J. H. H., Cho S., Feichtner I., Arato J., International and Regional Trade Law: The Law of The World Trade Organization, Unit III: Rules of Origin, 2016, 11.

⁷⁰ Simpson J. P., Rules of Origin in Transition: A Changing Environment and Prospects for Reform, Law and Policy in International Business 22, no. 4 (1991), 667.

⁷¹ Rules of Origin Handbook, The World Customs Organization (WCO), 9-10.

⁷² Rules of Origin and Origin Procedures Applicable to Exports from Least Developed Countries, UNCTAD series, 2011, United Nations Publication, 3.

⁷³ Weiler J. H. H., Cho S., Feichtner I., Arato J., International and Regional Trade Law: The Law of The World Trade Organization, Unit III: Rules of Origin, 2016, 4.

⁷⁴ Matsushita M., Schoenbaum T. J., Mavroidis P. C., Hahn M., The World Trade Organization Law, Practice, and Policy, Third edition, 2017, 238.

⁷⁵ Forrester I. S., EEC Customs Law: Rules of Origin and Preferential Duty Treatment, Part I, 167.

⁷⁶ SDI Technologies, Inc. v. United States, 977 F. Supp. 1235 (Ct. Int'l Trade 1997), United States Court of International Trade, <<https://casetext.com/case/sdi-technologies-inc-v-us>> [10.01.2025].

⁷⁷ Torrington Co. v. United States, 764 F.2d 1563 (Fed. Cir. 1985), United States Court of Appeals, Federal Circuit,

<<https://casetext.com/case/torrington-co-v-united-states>> [10.01.2025].

⁷⁸ Matsushita M., Schoenbaum T. J., Mavroidis P. C., Hahn M., The World Trade Organization Law, Practice, and Policy, Third edition, 2017, 238

Classification Method). ამ მეთოდის ფარგლებში, საქონელი ჩაითვლება კონკრეტული ქვეყნიდან წარმოშობილად, თუკი ამ ქვეყანაში განხორციელებული წარმოების ან გადამუშავების შედეგად, პროდუქტის სატარიფო კლასიფიკაცია იცვლება.⁷⁹ წარმოშობის დადგენის მიზნებისათვის სატარიფო კლასიფიკაციის ცვლილება განისაზღვრება სატარიფო ნომენკლატურის ჰარმონიზებული სისტემისა (Harmonized System of Tariff Nomenclature) და მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის (WCO) შესაბამისი კონვენციის მიხედვით,⁸⁰ რომელიც მსოფლიო ვაჭრობაში ჩართული ქვეყნების 90%-ში მოქმედებს და ერთგვაროვან, იერარქიულ ნომენკლატურას ადგენს, რომელიც გამოიყენება საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში ყველანაირი პროდუქტის წარმოშობის განსაზღვრისთვის.⁸¹ აღნიშნულ კონვენციას საქართველო 2008 წელს შეუერთდა.⁸²

ქართული კანონმდებლობის შესაბამისად, საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის სასაქონლო პოზიციის პირველ ოთხნიშნა დონეზე ცვლილების კრიტერიუმი ნიშნავს საქონლის გადამუშავებას მოცემულ ქვეყანაში ისეთი დოზით, როდესაც გადასამუშავებელი საქონელი იცვლის სასაქონლო კოდის პირველი ოთხი ციფრიდან (სასაქონლო პოზიციიდან) თუნდაც ერთ ნიშანს (მაგალითად, 2204 შეიცვალა 2205-ით) და ამ შემთხვევაში ითვლება, რომ საქონელი წარმოშობილია იმ ქვეყანაში, სადაც განხორციელდა ეს ცვლილება.⁸³ მოცემული კრიტერიუმით საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის დროს გამოიყენება საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული „საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურა“, რომელიც მომზადებულია ზემოხსენებული კონვენციის საფუძველზე.⁸⁴

აღსანიშნავია, რომ სატარიფო კლასიფიკაციის ცვლილების კრიტერიუმი არსებითი ტრანსფორმაციის დადგენის ოპტიმალურ საშუალებად მიიჩნევა მისი სიმარტივის გამო, რადგან ამ მეთოდის გამოყენებისას საჭიროა მხოლოდ საქონლის შემადგენელი ნაწილების ნომენკლატურის (Bill of Materials – BOM) შეფასება, რათა დადგინდეს, შეესაბამება თუ არა იმპორტირებული მასალები ტარიფის ცვლილების კრიტერიუმს.⁸⁵ ის წარმოადგენს მკაფიო და ობიექტურ მეთოდს, რომელიც მოითხოვს მხოლოდ უცხო ქვეყნიდან შემოსული მასალებისა და მათი სატარიფო კლასიფიკაციის იდენტიფიცირებას.⁸⁶ თუმცა, ამავდროულად, გასათვალისწინებელია, რომ სატარიფო კლასიფიკაციის ცვლილების კრიტერიუმის უარყოფით მხარეებად ხშირად მიიჩნევა მისი შეზღუდული გამჭვირვალობა, ზედმეტი სიმკაცრე და, ზოგიერთ

⁷⁹ Van den Bossche P., Zdouc W., The Law and Policy of the World Trade Organization, 2021, 502.

⁸⁰ International Convention on the Harmonized Commodity Description and Coding System, 1988, WCO, („საქონლის აღწერის და კოდირების ჰარმონიზებული სისტემის შესახებ“ საერთაშორისო კონვენცია).

⁸¹ Weiler J. H. H., Cho S., Feichtner I., Arato J., International and Regional Trade Law: The Law of The World Trade Organization, Unit III: Rules of Origin, 2016, 16.

⁸² საქართველოს პარლამენტის 2008 წლის 23 დეკემბრის დადგენილება №841 „საქონლის აღწერისა და კოდირების ჰარმონიზებული სისტემის შესახებ“ საერთაშორისო კონვენციასთან შეერთების თაობაზე“, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/45730?publication=0>> [10.01.2025].

⁸³ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 16 სექტემბრის დადგენილება №453 „საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის კრიტერიუმების, წარმოშობის დამადასტურებელი სერტიფიკატის ფორმის, მისი შევსებისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ (2019), მუხლი 7 პუნქტი 1.

⁸⁴ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2024 წლის 26 იანვრის ნოემბრის ბრძანება №21 „საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) დამტკიცების თაობაზე“, დანართი, მუხლი 1 პუნქტი 1.

⁸⁵ Rules of Origin and Origin Procedures Applicable to Exports from Least Developed Countries, UNCTAD series, 2011, United Nations Publication, 4.

⁸⁶ De Wulf L., Sokol J. B., Customs Modernization Handbook, 2005, 186.

შემთხვევაში, მისი თვითნებური გამოყენების შესაძლებლობა, ისევე, როგორც სატარიფო კლასიფიკაციასთან დაკავშირებული ზოგადი სირთულეები.⁸⁷

იქიდან გამომდინარე, რომ სატარიფო კლასიფიკაცია არ ყოფილა თავის დროზე პროდუქტის წარმოშობის განსაზღვრის მიზნებისთვის შექმნილი, სატარიფო კლასიფიკაციის ცვლილების კრიტერიუმი ყოველთვის არ წარმოადგენს ადეკვატურ და ეფექტიან ტესტს წარმოშობის დასადგენად და სატარიფო კლასიფიკაციის ცვლილებაზე დაფუძნებულ წარმოშობის წესების სქემებს, ხშირ შემთხვევაში, ავსებს შესაბამისი გამონაკლისების ჩამონათვალი.⁸⁸ აღნიშნული გამონაკლისებით დგინდება ისეთი შემთხვევები, როდესაც განხორციელდა საკმარისი ტრანსფორმაცია სატარიფო კლასიფიკაციის ცვლილების არარსებობის მიუხედავად, ან როცა ტარიფის კლასიფიკაციის ცვლილება არ არის საკმარისი საქონლის წარმოშობის მინიჭებისთვის და განისაზღვრება, თუ რომელი წარმოებითი პროცესები არ არის საკმარისი პროდუქტისთვის კონკრეტული წარმოშობის მისანიჭებლად, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პროცესები სატარიფო კლასიფიკაციის ცვლილებას იწვევს.⁸⁹

4.2.2. ღირებულებითი წილის კრიტერიუმი

საქონლის წარმოშობის ალტერნატიულ მეთოდს წარმოადგენს ღირებულებითი წილის კრიტერიუმი (ე.წ. Value Added Rule), რომლის მიხედვით არსებითი ტრანსფორმაცია დგინდება იმ ღირებულების შესაბამისად, რომელიც საქონელს, იმპორტირებული მასალის გარეშე, კონკრეტულ ქვეყანაში მიემატა.⁹⁰ ღირებულების საერთო ოდენობა, რომელიც პროდუქტს დაემატა მოცემულ ქვეყანაში, უნდა აღწევდეს კონკრეტულად განსაზღვრულ პროცენტულ წილს იმისთვის, რომ იქ წარმოშობილად ჩაითვალოს პროდუქტი.⁹¹ ღირებულებითი წილის კრიტერიუმი შეიძლება გამოიხატოს ორი ფორმით, კერძოდ, უცხო ქვეყნის მასალებისთვის მაქსიმალური დასაშვები ზღვრის განსაზღვრით ან პროდუქტში მინიმალური ადგილობრივი შემადგენლობის მოთხოვნის დადგენით.⁹² შესაბამისად, გაზრდილი ღირებულებითი წილის კრიტერიუმი განსაზღვრავს ტრანსფორმაციის ხარისხს, რომელიც საჭიროა საქონლისთვის წარმოშობის მისანიჭებლად, რაც ხორციელდება, ერთი მხრივ, ღირებულების მინიმალური წილის მიხედვით, რომელიც უნდა მოდიოდეს წარმოშობის ქვეყნიდან, ან ღირებულების მაქსიმალური ოდენობის შესაბამისად, რომელიც პროდუქტის მიმართ შეიძლება წარმოიშვას იმპორტირებული ნაწილებისა და მასალების გამოყენების გზით.⁹³

ქართული კანონმდებლობის შესაბამისად, ღირებულებითი (ანუ ადვალური) წილის კრიტერიუმის გამოყენების დროს კონკრეტული საქონელი ჩაითვლება იმ ქვეყანაში წარმოშობი-

⁸⁷ Rules of Origin and Origin Procedures Applicable to Exports from Least Developed Countries, UNCTAD series, 2011, United Nations Publication, 4.

⁸⁸ De Wulf L., Sokol J. B., Customs Modernization Handbook, 2005, 185.

⁸⁹ Weiler J. H. H., Cho S., Feichtner I., Arato J., International and Regional Trade Law: The Law of The World Trade Organization, Unit III: Rules of Origin, 2016, 16; იხ. ასევე შეთანხმება წარმოშობის წესების შესახებ (Agreement on Rules of Origin), WTO, მუხლი 9 პუნქტი 2, ქვეპუნქტები "c (i)" და "c (ii)".

⁹⁰ Simpson J. P., Rules of Origin in Transition: A Changing Environment and Prospects for Reform, Law and Policy in International Business 22, no. 4 (1991), 669.

⁹¹ De Wulf L., Sokol J. B., Customs Modernization Handbook, 2005, 186.

⁹² Rules of Origin Handbook, The World Customs Organization (WCO), 10.

⁹³ Weiler J. H. H., Cho S., Feichtner I., Arato J., International and Regional Trade Law: The Law of The World Trade Organization, Unit III: Rules of Origin, 2016, 13.

ლად, სადაც არის წარმოშობილი ამ საქონლის დასამზადებლად გამოყენებული მასალები და ნედლეული, ხოლო აღნიშნული მასალებისა და ნედლეულის ღირებულება შეადგენს საბოლოო პროდუქტის ღირებულების სულ ცოტა 51%-ს; ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ამ მასალებისა და ნედლეულის წარმოშობის ქვეყნები სხვადასხვაა და მათი საერთო ღირებულება აჭარბებს საბოლოო პროდუქტის ღირებულების 51%-ს, მაშინ საბოლოო პროდუქტი უნდა ჩაითვალოს იმ ქვეყანაში წარმოშობილად, სადაც წარმოშობილია ის მასალა და ნედლეული, რომელთა ღირებულების პროცენტული წილიც უდიდესია.⁹⁴

ღირებულებითი წილის კრიტერიუმთან მიმართებაში უარყოფით მხარედ აღიქმება პრობლემები განჭვრეტადობასა და თანმიმდევრულობასთან დაკავშირებით, რადგან მიიჩნევა, რომ ამ კრიტერიუმზე დამაზიანებელი გავლენის მოხდენა შეუძლია ვალუტის ღირებულების თუნდაც მცირე ცვლილებებს.⁹⁵ ამასთანავე, ხშირ შემთხვევაში სირთულეს წარმოადგენს საქონლის რეალური ღირებულების დადგენა.⁹⁶ საქონლის წარმოშობის დადგენის მიზნებისთვის გამოყენებული ღირებულებითი (**Ad Valorem**) წილის კრიტერიუმი დამატებით მნიშვნელოვან ხარჯებს იწვევს კომპანიებისთვის, რომელთათვისაც რთულ და ძვირ პროცესს წარმოადგენს შესაბამისი ადმინისტრაციული რეგულაციების შესრულება, განსაკუთრებით მაშინ, როცა ამ წესებით საბოლოო პროდუქტის კონკრეტული ნაწილებისა და მასალების იდენტიფიცირება და მათი ღირებულების შეფასება არის მოთხოვნილი.⁹⁷

გარდა ამისა, ღირებულებითი წილის კრიტერიუმის გამოყენების შედეგები, სავაჭრო პარტნიორებთან მიმართებით, შეიძლება ყოველთვის არ იყოს ერთგვაროვანი, კერძოდ, როდესაც მაღალანაზღაურებად ქვეყანაში (მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში) წარმოებული ნაწილები საბოლოო პროდუქტის შესაქმნელად იგზავნება დაბალი საშუალო ხელფასის მქონე ქვეყანაში (მაგალითად, მექსიკაში), ამ პროდუქტისთვის მექსიკაში დამატებულმა ღირებულებამ შეიძლება ვერ მიაღწიოს კონკრეტულ ზღვარს; თუმცა, თუკი ასეთი ნაწილები დამზადებული იქნება მექსიკაში და საბოლოო პროდუქტის წარმოება დასრულდება ამერიკის შეერთებულ შტატებში, პროდუქტის წარმოშობის ცვლილებისთვის საჭირო ღირებულების ზღვარი შეიძლება უკვე დაკმაყოფილდეს.⁹⁸ იმის გამო, რომ შრომითი ხარჯების კუთხით უფრო დიდი უთანასწორობა გხვდება კაპიტალის ხარჯებთან შედარებით (რადგან კაპიტალი უფრო მეტად მობილური და ადვილად ტრანსფერირებადია, ვიდრე შრომა ან ნედლეული), ღირებულებითი წილის კრიტერიუმი დისკრიმინაციულ მდგომარეობაში აყენებს ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებს, რომელთა მთავარ შედარებით უპირატესობას (**Comparative Advantage**) სწორედ იაფი შრომა და მასალები წარმოადგენს.⁹⁹

⁹⁴ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 16 სექტემბრის დადგენილება №453 „საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის კრიტერიუმების, წარმოშობის დამადასტურებელი სერტიფიკატის ფორმის, მისი შევსებისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ (2019), მუხლი 8.

⁹⁵ Simpson J. P., Rules of Origin in Transition: A Changing Environment and Prospects for Reform, Law and Policy in International Business 22, no. 4 (1991), 669.

⁹⁶ Rules of Origin Handbook, The World Customs Organization (WCO), 10.

⁹⁷ Weiler J. H. H., Cho S., Feichtner I., Arato J., International and Regional Trade Law: The Law of The World Trade Organization, Unit III: Rules of Origin, 2016, 13.

⁹⁸ Simpson J. P., Rules of Origin in Transition: A Changing Environment and Prospects for Reform, Law and Policy in International Business 22, no. 4 (1991), 669.

⁹⁹ Weiler J. H. H., Cho S., Feichtner I., Arato J., International and Regional Trade Law: The Law of The World Trade Organization, Unit III: Rules of Origin, 2016, 14.

4.2.3. სპეციფიკური საწარმოო ოპერაციის კრიტერიუმი

საქონლის არსებითი ტრანსფორმაციის დადგენის მესამე მეთოდს წარმოადგენს სპეციფიკური საწარმოო ოპერაციის კრიტერიუმი (**Specific Manufacturing/Processing Operations**), რომლის თანახმად, საქონელი მაშინაც ითვლება მნიშვნელოვნად გარდაქმნილად, როდესაც მან სპეციფიკური წარმოების ან გადამამუშავების ოპერაციები გაიარა კონკრეტულ ქვეყანაში.¹⁰⁰

აღნიშნული კრიტერიუმი განსაზღვრავს, თითოეული პროდუქტის ან საქონლის ჯგუფისთვის, წარმოების ან გადამამუშავების სპეციფიკურ მეთოდებს, რომლებიც განსაზღვრავენ საქონლის წარმოშობას (ე.წ. პოზიტიური ტესტი) ან წარმოების ან გადამამუშავების მეთოდებს, რომლებიც არ აფუძნებს პროდუქტის წარმოშობას (ე.წ. ნეგატიური ტესტი), შესაბამისად, აღნიშნული წესებით შეიძლება მოთხოვნილი იქნეს გარკვეული წარმოშობის პროდუქტების გამოყენება ან, პირიქით, აიკრძალოს გარკვეული უცხო ქვეყნის საქონლის გამოყენება საბოლოო პროდუქტის მისაღებად.¹⁰¹

სპეციფიკური წარმოების კრიტერიუმის მთავარ უპირატესობას წარმოადგენს ის, რომ, მასთან დაკავშირებული წესების განსაზღვრის შემდეგ, ეს კრიტერიუმი ნათელი და ცალსახაა, და მწარმოებლებს თავიდანვე შეუძლიათ მკაფიოდ განსაზღვრონ, არის თუ არა მათი პროდუქტი წარმოშობილი კონკრეტული ქვეყნიდან.¹⁰² თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ ტექნოლოგიურ ცვლილებებთან ერთად, წარმოების მეთოდებიც მუდმივად იცვლება, წარმოებაზე დაფუძნებული წესებიც შესაბამისად უნდა განახლდეს.¹⁰³

ქართული კანონმდებლობის მიხედვით, აუცილებელი პირობებისა და საწარმოო (და ტექნოლოგიური) ოპერაციების კრიტერიუმის გამოყენებით საქონელი ჩაითვლება იმ ქვეყანაში წარმოშობილად, სადაც მან განიცადა მნიშვნელოვანი და ეკონომიკურად გამართლებული გადამამუშავება, ან სადაც ამ მიზნებისათვის აღჭურვილ საწარმოში საქონლის მიმართ შესრულდა სამუშაო, რომლის შედეგადაც წარმოებულ იქნა ახალი პროდუქტი ან რომელიც წარმოადგენს წარმოების პროცესის მნიშვნელოვან ეტაპს.¹⁰⁴

5. საქონლის წარმოშობის წესების კლასიფიკაცია და მათი გამოყენების სფეროები

საერთაშორისო სავაჭრო სამართალში პროდუქტის წარმოშობის დასადგენად მოქმედებს ორი სახის წესები, კერძოდ, პრეფერენციული და არაპრეფერენციული საქონლის წარმოშობის წესები (**Preferential and Non-Preferential Rules of Origin**).¹⁰⁵ პრეფერენციული წარმოშობის წესები დაკავშირებულია სავაჭრო პოლიტიკის მნიშვნელოვან ინსტრუმენტებთან, როგორცაა, თავისუფალ სავაჭრო ზონებთან (**Free Trade Area, FTA**) დაკავშირებული შეთანხმე-

¹⁰⁰ Rules of Origin Handbook, The World Customs Organization (WCO), 10.

¹⁰¹ De Wulf L., Sokol J. B., Customs Modernization Handbook, 2005, 186.

¹⁰² იქვე.

¹⁰³ Simpson J. P., Rules of Origin in Transition: A Changing Environment and Prospects for Reform, Law and Policy in International Business 22, no. 4 (1991), 669.

¹⁰⁴ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 16 სექტემბრის დადგენილება №453 „საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის კრიტერიუმების, წარმოშობის დამადასტურებელი სერტიფიკატის ფორმის, მისი შევსებისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ (2019), მუხლი 9.

¹⁰⁵ Weiß W., Ohler C., Bungenberg M., Welthandelsrecht. 3. Auflage, 2022, Rn. 445, 177.

ბები და პრეფერენციათა განზოგადებული სისტემები (GSP), რომელთა ფარგლებშიც პრეფერენციული საბაზრო წვდომა (შემცირებული ან ნულოვანი ტარიფები) ენიჭება იმ ქვეყნებიდან განხორციელებულ იმპორტებს, რომლებიც ან თავისუფალი სავაჭრო ზონის წევრია ან წარმოადგენს განვითარებად სახელმწიფოს (და, შესაბამისად GSP სისტემის ბენეფიციარს).¹⁰⁶ რაც შეეხება საქონლის წარმოშობის არაპრეფერენციულ წესებს, ისინი დაკავშირებულია უფრო ზოგადი ხასიათის სავაჭრო ინსტრუმენტებთან, რომლებიც უკავშირდება როგორც ნეიტრალურ, ისე პოლიტიკურად სენსიტიურ მიზნებს, და არ მოიცავს ბაზარზე შეღავათიანი წვდომის შეთავაზებას.¹⁰⁷

5.1. პრეფერენციული საქონლის წარმოშობის წესების ცნება და მათი რელევანტურობა საერთაშორისო ვაჭრობაში

წარმოშობის პრეფერენციული წესები წარმოადგენს მარეგულირებელ ჩარჩოს, რომელიც განსაზღვრულია სავაჭრო შეთანხმებებში წევრ ქვეყნებში წარმოშობილი საქონლისთვის პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმის მისანიჭებლად, რაც მოითხოვს დიფერენცირებას წევრ ქვეყნებში წარმოებულ საქონელსა და არაწევრი ქვეყნებიდან იმპორტირებულ საქონელს შორის. წარმოშობის პრეფერენციული წესები განიმარტება როგორც იმ კანონების, რეგულაციებისა და პრაქტიკული გამოყენებისთვის რელევანტური ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების ერთობლიობა, რომლებიც გამოიყენება წევრი ქვეყნების მიერ იმის დასადგენად, ექვემდებარება თუ არა საქონელი სახელშეკრულებო თუ ავტონომიური სავაჭრო რეჟიმების ფარგლებში განსაზღვრულ შეღავათიან მოპყრობას,¹⁰⁸ რითაც ხდება სავაჭრო ურთიერთობებში სატარიფო პრეფერენციების მინიჭება სავაჭრო პარტნიორებისთვის, უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმიდან გამომდინარე ვალდებულებების მიღმა.¹⁰⁹ აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ვაჭრობის 50%-ზე მეტი პრეფერენციულ საფუძველზე ხორციელდება.¹¹⁰

საქონლის წარმოშობის პრეფერენციული წესები, როგორც წესი, დგინდება პრეფერენციული სავაჭრო შეთანხმებებით, რომლებიც განვითარებად ქვეყნებთან (პრეფერენციების განზოგადებული სისტემის (GSP-ის) ფარგლებში) და სავაჭრო შეთანხმების პარტნიორებთან (მაგალითად, თავისუფალი სავაჭრო ზონის (FTA) ან რეგიონული სავაჭრო შეთანხმების (RTA) ფარგლებში) ვაჭრობას აადვილებს GSP-ის ბენეფიციარი ქვეყნების ან თავისუფალი სავაჭრო შეთანხმების პარტნიორი ქვეყნებისთვის შემცირებული ან ნულოვანი ტარიფის შეთავაზებით მათ მიერ ექსპორტირებულ საქონელთან მიმართებით.¹¹¹ შესაბამისად, პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმით სარგებლობისთვის ექსპორტირებული საქონელი წარმოშობილი უნდა იყოს ან GSP-ის ბენეფიციარ ქვეყანაში, ან თავისუფალი სავაჭრო შეთანხმების ხელმომწერ ქვეყანაში.¹¹² პრეფერენციული სავაჭრო შეთანხმებები (PTAs) მოიცავს ავტონომიურ სავაჭრო რეჟიმებს (მაგალითად, პრეფერენციების განზოგადებული სისტემა, GSP) და სახელშეკრულებო სავაჭრო რეჟიმებს (მაგ.: NAFTA).¹¹³

¹⁰⁶ Barcelo J.J., Harmonizing Preferential Rules of Origin in the WTO System (December 19, 2006), Cornell Legal Studies Research Paper No. 06-049, 3.

¹⁰⁷ იქვე.

¹⁰⁸ შეთანხმება წარმოშობის წესების შესახებ (Agreement on Rules of Origin), WTO დანართი II, პუნქტი 2.

¹⁰⁹ Van den Bossche P., Zdouc W., The Law and Policy of the World Trade Organization, 2021, 502.

¹¹⁰ Weiß W., Ohler C., Bungenberg M., Welthandelsrecht, 2022, Rn. 445, 177.

¹¹¹ Rules of Origin Handbook, The World Customs Organization (WCO), 16.

¹¹² De Wulf L., Sokol J. B., Customs Modernization Handbook, 2005, 191

¹¹³ Rules of Origin Handbook, The World Customs Organization (WCO), 16.

აღსანიშნავია, რომ ორივე სახის სავაჭრო რეჟიმი არღვევს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ფუნდამენტურ პრინციპს, კერძოდ, არათანაბარი მოპყრობის (დისკრიმინაციის) აკრძალვას.¹¹⁴ მიუხედავად ამისა, თავისუფალი სავაჭრო ზონებისა და რეგიონული სავაჭრო შეთანხმებების შექმნა და მათი ფუნქციონირება დაშვებულია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის სამართალში როგორც გამონაკლისი, GATT-ის XXIV მუხლით განსაზღვრული წინაპირობების შესაბამისად, ხოლო GSP-ის სისტემების მოქმედების სამართლებრივი საფუძველია “Enabling Clause”,¹¹⁵ რომელიც მიღებული იქნა GATT-ის წევრი ქვეყნების მიერ 1979 წელს და საშუალებას აძლევს განვითარებულ ქვეყნებს, სხვა სახელმწიფოებთან შედარებით, განსხვავებული და უფრო ხელსაყრელი მოპყრობის ქვეშ მოაქციონ განვითარებადი ქვეყნები (Developing countries).¹¹⁶

როგორც წესი, პრეფერენციული წარმოშობის წესები უფრო მკაცრ მოთხოვნებს მოიცავს და უფრო რთულად შესასრულებელია, ვიდრე არაპრეფერენციული წარმოშობის წესები.¹¹⁷ რაც შეეხება პრეფერენციული წესების სტრუქტურას, პრეფერენციულ სავაჭრო შეთანხმებებში, მის ძირითად ელემენტებს, წარმოშობის დადგენის კრიტერიუმებთან ერთად (როგორიცაა, „მთლიანად მიღებული საქონლის კრიტერიუმი“ და „არსებითი ტრანსფორმაცია“), ასევე წარმოადგენს საქონლის პირდაპირი ტრანსპორტირების მოთხოვნა შესაბამის ქვეყნებს შორის (Direct Consignment Rule) და საბაჟო მოსაკრებლის დაბრუნების აკრძალვა წარმოებაში გამოყენებულ იმპორტირებულ საქონელზე (Prohibition of Duty Drawback).¹¹⁸

პრეფერენციული სავაჭრო სქემების უმეტესობაში მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს საქონლის პირდაპირი ტრანსპორტირების მოთხოვნა (Direct Consignment Rule), რაც იმას ნიშნავს, რომ იმისათვის, რომ კონკრეტული პროდუქტი დაექვემდებაროს პრეფერენციულ სავაჭრო მოპყრობას, ის უშუალოდ უნდა იყოს ტრანსპორტირებული მისი წარმოების ადგილიდან პრეფერენციის მიწიჭების ადგილამდე.¹¹⁹ აღნიშნული წესის მიზანი არის უმთავრესად იმის უზრუნველყოფა, რომ იმპორტირებული საქონელი, განსაკუთრებით ე.წ. ნაყარი ტვირთი (Bulk Cargo), რომლის ზუსტი იდენტიფიკაცია სირთულეს ხშირად წარმოადგენს, იყოს იდენტური იმ საქონლისა, რომელიც გავიდა ექსპორტიორი ქვეყნიდან, და ასევე შემცირდეს პრეფერენციებს დაქვემდებარებული საქონლის არასასურველი შერევის რისკი პრეფერენციის არმქონე საქონელთან.¹²⁰ საქონელი, რომელზედაც მოითხოვება სავაჭრო შეღავათები, უნდა გაიგზავნოს პირდაპირ დანიშნულების ბაზარზე და, თუ ის ტრანზიტით გაივლის სხვა სახელმწიფოში, შეიძლება მოთხოვნილი იქნეს დოკუმენტური მტკიცებულება იმისა, რომ აღნიშნული საქონელი დარჩა სატრანზიტო ქვეყნის საბაჟო ორგანოების ზედამხედველობის ქვეშ, არ შესულა იქ შიდა ბაზარზე და არ გაუვლია სხვა ოპერაციები, გარდა საქონლის გადმოტვირთვის და გადატვირთვის პროცედურებისა.¹²¹

¹¹⁴ *Barcelo J.J.*, Harmonizing Preferential Rules of Origin in the WTO System (December 19, 2006), Cornell Legal Studies Research Paper No. 06-049, 12.

¹¹⁵ იქვე, 11.

¹¹⁶ Decision (I/4903) of the Contracting Parties of GATT on “Differential and More Favourable Treatment Reciprocity and Fuller Participation of Developing Countries”, adopted November 28, 1979. <https://www.wto.org/english/docs_e/legal_e/enabling_e.pdf>[10.01.2025].

¹¹⁷ *De Wulf L., Sokol J. B.*, Customs Modernization Handbook, 2005, 191.

¹¹⁸ Rules of Origin Handbook, The World Customs Organization (WCO), 16.

¹¹⁹ *De Wulf L., Sokol J. B.*, Customs Modernization Handbook, 2005, 205.

¹²⁰ Rules of Origin Handbook, The World Customs Organization (WCO), 17.

¹²¹ *De Wulf L., Sokol J. B.*, Customs Modernization Handbook, 2005, 205.

პრეფერენციულ წესებთან მიმართებით მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს საბაჟო მოსაკრებლის დაბრუნების (Duty Drawback) საკითხი.¹²² თუკი ეროვნული კანონმდებლობა ითვალისწინებს საბაჟო მოსაკრებლის უკან გადახდის შესაძლებლობას, ეს გულისხმობს იმ საბაჟო გადასახადის უკან დაბრუნებას, რაც გადახდილია იმ უცხოური კომპონენტებისთვის, რომლებიც გამოყენებულია თავისუფალი სავაჭრო შეთანხმების (FTA) ან პრეფერენციული სავაჭრო შეთანხმების (PTA) პარტნიორი ქვეყნის ბაზარზე ექსპორტირებული საბოლოო პროდუქტის წარმოებაში.¹²³ როდესაც სავაჭრო შეთანხმებები შეიცავს ექსპლიციტურ წესებს ბაჟის უკან დაბრუნების აკრძალვასთან დაკავშირებით, ეს გავლენას ახდენს სავაჭრო ზონაში ექსპორტის განმახორციელებელ კომპანიებზე და მათ მიერ პროდუქტებისთვის მასალის მოპოვებასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებზე, და ცვლის მათ მიდგომას არამონაწილე ქვეყნიდან იმპორტირებული მასალების გამოყენებასთან დაკავშირებით, რომლის ნაცვლადაც შესაძლოა მათ არჩევანი გააკეთონ სავაჭრო შეთანხმებაში მონაწილე ქვეყნიდან წარმოშობილი მასალების გამოყენებაზე.¹²⁴

პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმის ბენეფიციარი სახელმწიფოებისთვის ხშირად მოქმედებს შეზღუდვები, რის გამოც მათ არ შეუძლიათ გაათავისუფლონ ექსპორტიორები საბაჟო გადასახადისგან პრეფერენციული სისტემის მიღმა წარმოშობილ ნედლეულსა და მასალებთან მიმართებაში, როცა ისინი გამოიყენება ისეთ პროდუქტებში, რომლებიც ექვემდებარებიან პრეფერენციულ სავაჭრო მოპყრობას საბოლოო პროდუქტის ექსპორტისას.¹²⁵ ევროკავშირსა და საქართველოს შორის მოქმედი სავაჭრო რეჟიმის ფარგლებში, PEM კონვენციის შესაბამისად, დაუშვებელია ანაზღაურების მიღება საბაჟო მოსაკრებლისთვის, რომლებიც ადრე იყო გადახდილი კონვენციის მონაწილე ქვეყანაში არწარმოშობილი მასალებისთვის, რომლებიც გამოიყენება პროდუქტის წარმოებისთვის, რომელიც ექსპორტირდება პრეფერენციული (შელავათიანი) ტარიფით.¹²⁶

იმ პირობებში, როდესაც ბევრი პრეფერენციული სავაჭრო შეთანხმება კრძალავს იმგვარი საბაჟო გადასახადის კომპენსირებას (უკან დაბრუნებას), რომელიც უცხო (არაპარტნიორ) ქვეყანაში წარმოშობილი მასალისთვის/კომპონენტებისთვის იქნა გადახდილი, რომელიც, შემდგომში, გამოყენებული იქნა პრეფერენციული სავაჭრო შეთანხმების პარტნიორის ბაზარზე შეტანილი საბოლოო პროდუქტის შექმნაში, ბევრი განვითარებადი ქვეყანა იყენებს აღნიშნულ მექანიზმს ინვესტიციების მოზიდვისა და ექსპორტის ნახალისების მიზნით.¹²⁷

5.2. არაპრეფერენციული საქონლის წარმოშობის წესების არსი და მათი მნიშვნელობა სავაჭრო სამართალში

საერთაშორისო სავაჭრო სამართალში არაპრეფერენციული წარმოშობის წესები (Non-preferential Rules of Origin) კონკრეტულ პროდუქტს ანიჭებს ეკონომიკურ ეროვნებას.¹²⁸ ამას-

¹²² *Estevadeordal A., Suominen K., Rules of Origin in the World Trading System (2003), 7.*

¹²³ *De Wulf L., Sokol J. B., Customs Modernization Handbook, 2005, 196.*

¹²⁴ იქვე.

¹²⁵ *Rules of Origin Handbook, The World Customs Organization (WCO), 18.*

¹²⁶ *პან-ევრო-სამედიტერანეული ზღვის პრეფერენციული წარმოშობის შესახებ რეგიონული კონვენცია, 2012 (Pan-Euro-Mediterranean Regional Convention on Preferential Origin), მუხლი 14.*

¹²⁷ *Estevadeordal A., Suominen K., Rules of Origin in the World Trading System (2003), 7.*

¹²⁸ *Rules of Origin Handbook, The World Customs Organization (WCO), 6.*

თანავე, პრეფერენციული წარმოშობის წესებისგან განსხვავებით, არაპრეფერენციული წესები არ აძლევს საქონელს რაიმე სატარიფო უპირატესობას. WTO-ის შეთანხმება წარმოშობის წესების შესახებ (ARO) არაპრეფერენციულ წარმოშობის წესებს განმარტავს, როგორც იმ კანონების, რეგულაციებისა და ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების ერთობლიობას, რომლებიც საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში საქონლის წარმოშობის ქვეყნის (მისი „ეკონომიკური ეროვნების“) დასადგენად გამოიყენება.¹²⁹

მართალია, საქონლის წარმოშობის არაპრეფერენციული წესები არ უკავშირდება სახელშეკრულებო ან ავტონომიურ სავაჭრო რეჟიმებს, რომლებიც წარმოადგენს სავაჭრო პარტნიორებისთვის სატარიფო შეღავათების მინიჭების საფუძველს.¹³⁰ თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათ უმნიშვნელო როლი აქვთ საერთაშორისო სავაჭრო სამართალში. ისინი გამოიყენება, როგორც სავაჭრო ინსტრუმენტი არაპრეფერენციულ სავაჭრო პოლიტიკის მექანიზმებში, როგორებიცაა, უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი, ანტიდამპინგური და საკომპენსაციო ღონისძიებები, დამცავი ზომები, წარმოშობის მარკირების მოთხოვნები, დისკრიმინაციული რაოდენობრივი შეზღუდვები და სატარიფო კვოტები, სავაჭრო სტატისტიკა და სახელმწიფო შესყიდვები.¹³¹

უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის (Most-Favoured Nation, MFN) ფარგლებში, ნებისმიერი უპირატესობა, ხელშეწყობა, პრივილეგია ან იმუნიტეტი, რომელიც შეთანხმების მონაწილე რომელიმე მხარემ მიანიჭა რომელიმე სხვა ქვეყანაში შექმნილ, ან რომელიმე სხვა ქვეყნისათვის განკუთვნილ ნებისმიერ საქონელს, დაუყოვნებლივ და უპირობოდ უნდა მიენიჭოს ყველა დანარჩენი წევრი ქვეყნის ტერიტორიებზე წარმოშობილ მსგავს საქონელსაც, ისევე, როგორც შეთანხმების მონაწილე ყველა დანარჩენი მხარის ტერიტორიებისათვის განკუთვნილ მსგავს საქონელს.¹³² საქონლის წარმოშობის დადგენის მკაფიო და ობიექტური კრიტერიუმების განსაზღვრით, არაპრეფერენციული წარმოშობის წესები ხელს უშლის დისკრიმინაციას სავაჭრო პარტნიორებს შორის და უზრუნველყოფს წევრი ქვეყნების თანაბარ მოპყრობას. თუმცა, ამასთანავე, გასათვალისწინებელია ის მნიშვნელოვანი გამოწვევები, რომლებიც იძლევა ვაჭრობაში არათანაბარი მოპყრობის შესაძლებლობას, მაგალითად, რეგიონული სავაჭრო შეთანხმების (RTA) ფარგლებში.¹³³

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის სისტემის ფარგლებში, დამპინგის (Dumping) გამოყენება, რომლის დროსაც საქონელი ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში გასაყიდად შედის საქონლის ჩვეულებრივ ღირებულებაზე უფრო დაბალი ფასით, ითვლება უსამართლოდ, თუკი ის მატერიალურ ზარალს აყენებს GATT-ის მონაწილე მხარის მრეწველობას ან ქმნის ასეთი ზარალის გამოწვევის საფრთხეს, ანდა არსებითად აფერხებს წევრი ქვეყნის ადგილობრივი მრეწველობის განვითარებას.¹³⁴ დამპინგის კომპენსირების ან მისი აღმოფხვრის მიზნით, შეთანხმების მონაწილე მხარეს ნებისმიერი სახის დამპინგურ საქონელზე შეუძლია დაანესოს ანტიდამპინგური გადასახადი, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს აღნიშნული საქონლის მიმართ დამპინგურ სხვაობას (Dumping margin).¹³⁵ წარმოშობის არაპრეფერენციული წეს-

¹²⁹ შეთანხმება წარმოშობის წესების შესახებ (Agreement on Rules of Origin), WTO, მუხლი 1 პუნქტი 1.

¹³⁰ Rules of Origin Handbook, The World Customs Organization (WCO), 12.

¹³¹ შეთანხმება წარმოშობის წესების შესახებ (Agreement on Rules of Origin), WTO, მუხლი 1 პუნქტი 2.

¹³² გენერალური შეთანხმება ვაჭრობის და ტარიფების შესახებ (GATT), 1994, მუხლი I პუნქტი 1.

¹³³ იქვე, მუხლი XIV.

¹³⁴ იქვე, მუხლი VI პუნქტი 1.

¹³⁵ იქვე, მუხლი VI პუნქტი 2.

სები აუცილებელია ვაჭრობაში დამპინგირებული საქონლის წარმოშობის ზუსტი განსაზღვრისათვის და სწორედ მათი გამოყენებით შესაძლებელია ანტიდამპინგური ღონისძიებების გატარება უსამართლო სავაჭრო პრაქტიკის დასაძლევად. პროდუქტის წარმოშობის სწორი განსაზღვრა ხელს უწყობს ბაზრის მთლიანობის შენარჩუნებასა და ადგილობრივი მრეწველობის დაცვას არაკეთილსინდისიერი კონკურენციისგან.

რაც შეეხება სავაჭრო პროდუქტის წარმოშობის აღნიშვნებს, GATT-ის მონაწილე თითოეული მხარე შეთანხმების მონაწილე სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე წარმოშობილ საქონელს, მარკირებასთან დაკავშირებით, ანიჭებს ნებისმიერი მესამე ქვეყნის ანალოგიური საქონლისათვის მინიჭებულ რეჟიმზე არანაკლებ ხელსაყრელ რეჟიმს.¹³⁶ წარმოშობის აღნიშვნებთან დაკავშირებული კანონებისა და წესების ძალაში შესვლის დროს, მინიმუმამდე უნდა შემცირდეს მათ მიერ გამოწვეული სირთულეები და წინააღმდეგობები, რომლებმაც, შესაძლოა, გავლენა მოახდინოს ექსპორტიორი ქვეყნის ვაჭრობასა და მრეწველობაზე, ამასთან, ყურადღება უნდა გამახვილდეს მცდარი და შეცდომაში შემყვანი აღნიშვნებისაგან მომხმარებლის დაცვის აუცილებლობაზე.¹³⁷ საქონლის წარმოშობის ზუსტი განსაზღვრით, წარმოშობის წესები უზრუნველყოფს პროდუქტის სწორად მარკირებას (ეტიკეტირებას), რაც მომხმარებელს აწვდის გამჭვირვალე ინფორმაციას მათ მიერ შეძენილ პროდუქტებზე. ამის შედეგად, იზრდება მომხმარებელთა ნდობა და ძლიერდება ბაზრის გამჭვირვალობა.

ამასთანავე, წარმოშობის არაპრეფერენციული წესები ქმნის დამცავი ზომების ეფექტიანად გამოყენების საფუძველს. საქონლის წარმოშობის ზუსტად განსაზღვრით, საქონლის წარმოშობის წესები ხელს უწყობს ბაზარზე იმპორტის მზარდი ნაკადების იდენტიფიცირებას, რომლებმაც, შესაძლოა, ზიანი მიაყენოს შიდა ინდუსტრიებს, რის საპასუხოდაც მთავრობებს შეუძლიათ გაატარონ შესაბამისი უსაფრთხოების ზომები, მაგალითად, კვოტების დადგენის გზით.¹³⁸ ამასთანავე, საქონლის წარმოშობის არაპრეფერენციული წესები ხელს უწყობს დისკრიმინაციული ზომების ბოროტად გამოყენების თავიდან აცილებას, როგორცაა, რაოდენობრივი შეზღუდვები.¹³⁹

საქონლის წარმოშობის დადგენის ობიექტური კრიტერიუმების განსაზღვრით, წარმოშობის წესები უზრუნველყოფს ამგვარი ზომების სამართლიანად და გამჭვირვალედ გამოყენებას პრაქტიკაში, ცალკეული სავაჭრო პარტნიორების გაუმართლებელი შეზღუდვის გარეშე. შესაბამისად, არაპრეფერენციული წარმოშობის წესები საერთაშორისო ვაჭრობის რეგულირების სხვადასხვა სფეროში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სამართლიანი, გამჭვირვალე და არადისკრიმინაციული სავაჭრო პრაქტიკის ხელშეწყობისათვის.

6. საქონლის წარმოშობის წესების ეკონომიკური ეფექტი საერთაშორისო ვაჭრობაში და მათი პრაქტიკული გამოწვევები

პრეფერენციული და არაპრეფერენციული წარმოშობის წესების ეკონომიკური ეფექტი მრავალმხრივია და დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორზე, მათ შორის, აღნიშნული წესების სიმკაცრეზე, მიწოდების ჯაჭვების სირთულესა და ეკონომიკური განვითარების დონეზე.

¹³⁶ იქვე, მუხლი IX პუნქტი 1.

¹³⁷ იქვე, მუხლი IX პუნქტი 2.

¹³⁸ იქვე, მუხლი XIX.

¹³⁹ იქვე, მუხლი XI.

წარმოშობის წესები, შესაძლოა, წარმოადგენდეს სავაჭრო ბარიერს ორი კუთხით, კერძოდ, საქონლის წარმოშობის წესების საფუძველზე შეიძლება მოხდეს ბაზარზე ადმინისტრაციული ხარჯების დაკისრება ექსპორტიორებზე და ასევე კომპანიების იძულება, რომ მათ შეეცვალონ თავიანთი მიმწოდებლები, რათა წარმოშობის წესების მოთხოვნები იქნეს დაცული.¹⁴⁰ წარმოშობის წესების არსებობა საჭიროა იმის უზრუნველსაყოფად, რომ პრეფერენციული ტარიფების მოქმედების არეალი შემოიფარგლოს მხოლოდ პრეფერენციული სავაჭრო შეთანხმების წევრებით და არაწევრი ქვეყნები გამოირიცხონ ამ შეღავათიანი რეჟიმიდან, რისთვისაც გამოსადეგია მკაცრი წარმოშობის წესების დადგენა და გამოყენება.¹⁴¹ წარმოშობის წესების თანდაყოლილი „დისკრიმინაციის უნარი“ საშუალებას აძლევს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების მხარეებს ან პრეფერენციების მიმნიჭებელ ქვეყნებს შეზღუდონ კონკრეტული ქვეყნის მიერ ექსპორტირებული პროდუქტების შემოსვლა ბაზარზე ბაჟის გადახდის გარეშე (*Duty-Free Entry*) და მათი წვდომა სხვა პრეფერენციულ შეღავათებზე.¹⁴²

თავისუფალი სავაჭრო შეთანხმების ხელმოწერის დროს, ორმხრივი ტარიფი ნულამდე მცირდება, თუმცა, ამასთანავე, კომპანიებმა უნდა დაამტკიცონ თავიანთი პროდუქციის წარმოშობა, რათა ის დაუქვემდებარონ უბაჟო მოპყრობას ბაზარზე, შესაბამისად, აღნიშნული წესების დაკმაყოფილების ადმინისტრაციული ტვირთი სხირად „აკომპენსირებს“ შემცირებული სავაჭრო ტარიფების დადებით გავლენას, რაც შეიძლება გამოსწორდეს არაპრეფერენციული ტარიფების დახმარებით, რადგანაც კომპანიებს აქვთ შესაძლებლობა, გადაიხადონ არაპრეფერენციული ტარიფები, რათა ამით თავიდან აიცილონ საქონლის წარმოშობის დადასტურებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული ხარჯები, განსაკუთრებით იმ პირობებში, როცა კონკრეტულ ბაზარზე არაპრეფერენციული ტარიფები დაბალია (მაგალითად, ევროპაში).¹⁴³

როდესაც ორი სახელმწიფო ხელს აწერს თავისუფალი სავაჭრო შეთანხმებას (*FTA*), ისინი ამცირებენ ტარიფებს ორმხრივ ვაჭრობასთან მიმართებით და, აგრეთვე, ადგენენ მათ შორის მოქმედ საქონლის წარმოშობის წესებს, შესაბამისად, ამგვარი შეთანხმება იწვევს მიწოდების გარკვეული ნაწილის გადასვლას მესამე ქვეყნიდან *FTA*-ის მიმწოდებლებზე, ხოლო შეღავათიანი ტარიფები ცვლის პარტნიორი ქვეყნებიდან იმპორტის ფარდობით ფასს მესამე ქვეყნებთან შედარებით.¹⁴⁴

აღსანიშნავია, რომ წარმოშობის წესები უფრო მეტად მოქმედებს შუალედური საქონლით (*Intermediate Goods*) ვაჭრობაზე, ვიდრე საბოლოო საქონელზე (*Final Goods*), ის ასევე გავლენას ახდენს პატარა ქვეყნებზე უფრო მეტად, ვიდრე დიდ ქვეყნებზე (იმპორტირებულ შუალედურ საქონელზე მათი მეტი დამოკიდებულების გამო), და, აგრეთვე, უფრო ძლიერ გავლენას ახდენს ვაჭრობაზე ისეთ ქვეყნებში, სადაც ე.წ. ვერტიკალური სპეციალიზაცია არის გავრცელებული.¹⁴⁵

¹⁴⁰ Augier P., Gasiorek M., Lai Tong C., Martin P., Prat A., The Impact of Rules of Origin on Trade Flows, *Economic Policy*, Jul., 2005, Vol. 20, No. 43, 576.

¹⁴¹ Harilal K. N., Beena P. L., Reining in Rules of Origin-Based Protectionism: A Critique of WTO Initiatives, *Economic and Political Weekly*, Vol. 40, No. 51 (2005), 5420.

¹⁴² Rules of Origin and Origin Procedures Applicable to Exports from Least Developed Countries, UNCTAD series, 2011, United Nations Publication, 2.

¹⁴³ Augier P., Gasiorek M., Lai Tong C., Martin P., Prat A., The Impact of Rules of Origin on Trade Flows, *Economic Policy*, Jul., 2005, Vol. 20, No. 43, 576.

¹⁴⁴ იქვე, 578.

¹⁴⁵ იქვე, 581.

წარმოშობის წესების გამოყენება პროდუქტის წარმოშობის დასადგენად მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სახელმწიფოთა სავაჭრო პოლიტიკაზე, რადგან ის შეიძლება გამოიყენონ კონკრეტული შიდა სექტორების ან მრეწველობის დასაცავად, რაც პოტენციურად გამოიწვევს შიდა პროდუქტების მწარმოებელი ინდუსტრიის დაცვასა და იმპორტირებული მასალების ჩანაცვლებას შიდა მასალებით, ისევე, როგორც საბოლოო საქონლის ხარჯებისა და ღირებულების გაზრდას.¹⁴⁶

წარმოშობის წესებთან შესაბამისობის დაცვამ შეიძლება, აგრეთვე, გავლენა მოახდინოს კომპანიების მიწოდებასა და საინვესტიციო გადაწყვეტილებებზე, რადგან აღნიშნულმა წესებმა შეიძლება მოითხოვოს შიდა პროდუქტების გამოყენება იმპორტირებულის ნაცვლად, შეამციროს დაბალი ტარიფით ექსპორტის სარგებელი და პოტენციურად გაზარდოს საბოლოო საქონლის დანახარჯები და ღირებულება.¹⁴⁷ საქონლის წარმოშობის წესები შეიძლება ამასთანავე წარმოადგენდეს მნიშვნელოვან ფაქტორს მულტინაციონალური კომპანიების საინვესტიციო გადაწყვეტილებებთან მიმართებაში, რადგან წარმოშობის წესების ბუნებამ და მათი გამოყენების ფორმამ შეიძლება გაზარდოს გაურკვევლობა ბაზრის შეღავათიან წვდომასთან მიმართებით, რაც პოტენციურად გამოიწვევს ინვესტიციების შემცირებას.¹⁴⁸

წარმოშობის წესებს შეუძლია, რომ შეამციროს პრეფერენციული შეთანხმებებით ან GSP-ით უზრუნველყოფილი სავაჭრო პრივილეგიების გამოყენების სიხშირე და გამოიწვიოს „გამოუყენებელი პრეფერენციების“ არსებობა, იქიდან გამომდინარე, რომ მწარმოებლებმა შეიძლება არჩიონ სავაჭრო ტარიფის გადახდა, ადმინისტრაციული ბარიერების გავლის ნაცვლად, რომლებიც დადგენილია წარმოშობის წესების მოთხოვნების შესასრულებლად, რის გამოც შესაძლოა მოხდეს არჩევანის გაკეთება ადგილობრივ პროდუქტებზე და საბოლოო საქონლის ხარჯებისა და ფასის გაზრდა.¹⁴⁹ წარმოშობის წესებს შეუძლია, ასევე, გამოიწვიოს ინვესტიციების „გადამისამართება“ (Investment Diversion), რადგან საბოლოო საქონლის მწარმოებლებმა შეიძლება შექმნან ქარხნები წარმოშობის წესებით რეგულირებულ რეგიონში იმისთვის, რომ წარმოშობის წესები შეასრულონ, რაც პოტენციურად გამოიწვევს გაზრდილ დანახარჯებს და ვაჭრობის „გადამისამართებას“, ისევე, როგორც შესაბამისი ინვესტიციების გადატანას წარმოშობის წესებით რეგულირებული ტერიტორიის ფარგლებში.¹⁵⁰

მიუხედავად იმისა, რომ საქონლის წარმოშობის წესების არსებობა აუცილებელია იმისათვის, რომ შენარჩუნდეს ქვეყნების არსებული გარე დაცვა პრეფერენციული სავაჭრო შეთანხმებების (PTA) ფარგლებში, იმის მიხედვით, თუ როგორ არის ჩამოყალიბებული აღნიშნული წესები, ისინი ასევე შეიძლება ემსახუროდეს გარე დაცვის აღნიშნული დონის გაზრდას, ხოლო წარმოშობის წესების რეალური გავლენა დამოკიდებული იქნება უამრავ ფაქტორზე, როგორიცაა ბაზრის სტრუქტურის ბუნება, ან იმაზე, თუ როგორ არის განმარტებული „საკმარისი მუშაობა ან გადამუშავება“.¹⁵¹

¹⁴⁶ Harilal K. N., Beena P. L., Reining in Rules of Origin-Based Protectionism: A Critique of WTO Initiatives, *Economic and Political Weekly*, Vol. 40, No. 51 (2005), 5421.

¹⁴⁷ De Wulf L., Sokol J. B., *Customs Modernization Handbook*, 2005, 200.

¹⁴⁸ იქვე.

¹⁴⁹ Estevadeordal A., Suominen K., *Rules of Origin in the World Trading System* (2003), 9.

¹⁵⁰ იქვე, 10.

¹⁵¹ Augier P., Gasiorek M., Lai Tong C., Martin P., Prat A., *The Impact of Rules of Origin on Trade Flows*, *Economic Policy*, Jul., 2005, Vol. 20, No. 43, 580.

აღსანიშნავია, რომ საქონლის წარმოშობის პრეფერენციული წესები უფრო მეტად შემზღუდველია, ვიდრე არაპრეფერენციული, რისი თეორიული მიზეზი არის ვაჭრობის „გადამისამართების“ (Trade Deflection) თავიდან აცილების მოტივაცია, რაც უფრო კონკრეტულად გულისხმობს საქონლის გადაზიდვას პრეფერენციების მქონე ქვეყნის გავლით, რათა საქონელმა იმპორტის დროს მოიპოვოს შეღავათიანი რეჟიმი, რომელიც ხელმისაწვდომია პრეფერენციული სავაჭრო ხელშეკრულებით (PTA).¹⁵² წარმოშობის წესების ფუნქციაა, თავიდან აიცილოს ვაჭრობის „გადამისამართება“, რომელშიც უცხო (არაპრივილეგირებული) საქონელი მიეწოდება თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების მხარეს ყველაზე დაბალი გარე ტარიფებით და შემდეგ ხელახლა ექსპორტირდება (ანუ რექსპორტირდება) უფრო მაღალი ტარიფების მქონე ქვეყანაში,¹⁵³ რათა ამის შედეგად თავიდან იქნეს აცილებული მაღალი ტარიფების გადახდა ან ისეთი პროდუქტები, რომლებიც ცალმხრივი პრეფერენციული სქემების არაბენეფიციარი ქვეყნებიდან არის წარმოშობილი, გადატანილ იქნეს ბენეფიციარი ქვეყნების მემკვიდრეობით.¹⁵⁴

შეღავათიანმა სავაჭრო ტარიფებმა და საქონლის წარმოშობის წესებმა შეიძლება გამოიწვიოს ვაჭრობის დივერსია (გადახვევა), რაც უარყოფითად მოქმედებს არაწევრ ქვეყნებზე, ხოლო საქონლის წარმოშობის წესებმა, განსაკუთრებით, პროდუქტის შემადგენლობაში ადგილობრივი კომპონენტების მოთხოვნის გზით, შეიძლება კიდევ უფრო მეტად გაართულოს შეთანხმების არაწევრების მდგომარეობა.¹⁵⁵ თავისუფალ სავაჭრო შეთანხმებებში ქვემო დინების მწარმოებლები (ე.წ. Downstream producers) იძულებული ხდებიან, შეიძინონ საჭირო მასალები შუალედური პროდუქტების რეგიონული მწარმოებლისგან უფრო მაღალ ფასად, რაც პოტენციურად ზრდის ხარჯებს და იწვევს ვაჭრობის შეფერხებას, ამდენად, შუალედური პროდუქტების არაწევრი მწარმოებლებისთვის, თავისუფალი სავაჭრო შეთანხმებიდან გამომდინარე წარმოშობის წესები შეიძლება წარმოადგენდეს მკაცრ არასატარიფო სავაჭრო ბარიერს (Non-tariff barrier), რომლის სატარიფო ეკვივალენტი შეიძლება იყოს უფრო მაღალი, ვიდრე თავისუფალი სავაჭრო შეთანხმების ზოგადი გარე ტარიფი.¹⁵⁶

ამასთანავე, საერთაშორისო სავაჭრო სამართალში არსებობს გამართლებული შესწოტება იმასთან დაკავშირებით, რომ წარმოშობის წესები შეიძლება გამოყენებული იქნეს მხარეთა მიერ პროტექციონისტული მიზნებისთვის.¹⁵⁷ საქონლის წარმოშობის წესები, რომლებიც თავიდან განსაზღვრული იყო, როგორც ნეიტრალური სავაჭრო პოლიტიკის ინსტრუმენტი საქონლის წარმოშობის ქვეყნის დასადგენად, პრაქტიკაში სულ უფრო ხშირად გამოიყენება, როგორც პროტექციონისტული სავაჭრო პოლიტიკის ინსტრუმენტი, და საქონლის წარმოშობის წესების, როგორც პროტექციონისტული ინსტრუმენტების, ბოროტად გამოყენება ხშირად შეინიშნება განვითარებულ ქვეყნებს შორის მოქმედ პრეფერენციულ სავაჭრო შეთანხმე-

¹⁵² Rules of Origin Handbook, The World Customs Organization (WCO), 16.

¹⁵³ Krajewski M., Wirtschaftsvölkerrecht, 4. Auflage, 2017, Rn. 975.

¹⁵⁴ Rules of Origin and Origin Procedures Applicable to Exports from Least Developed Countries, UNCTAD series, 2011, United Nations Publication, 2.

¹⁵⁵ The Impact of Rules of Origin on Trade, Report, Kommerskollegium 2012:1, 14.

¹⁵⁶ Harilal K. N., Beena P. L., Reining in Rules of Origin-Based Protectionism: A Critique of WTO Initiatives, Economic and Political Weekly, Vol. 40, No. 51 (2005), 5420.

¹⁵⁷ LaNasa J. A. III., Rules of Origin and the Uruguay Round's Effectiveness in Harmonizing and Regulating Them, The American Journal of International Law, Oct., 1996, Vol. 90, No. 4, 631.

ბებში (PTAs), როგორებიცაა ევროკავშირი და ჩრდილოამერიკული თავისუფალი ვაჭრობის ზონა (NAFTA).¹⁵⁸

საქონლის წარმოშობის წესები შეიძლება წარმატებით იქნეს გამოყენებული, როგორც პროტექციონიზმის ეფექტიანი საშუალება, რაც შეიძლება შემდეგნაირად განხორციელდეს: ერთი მხრივ, წარმოშობის პრეფერენციული წესების ზედმეტად შემზღუდველმა განმარტებამ ან გამოყენებამ შეიძლება უარი უთხრას სავაჭრო პრეფერენციებზე იმგვარ პროდუქტებს, რომლებმაც ბოლოს გაიარეს არსებითი გადამუშავება პრეფერენციულ ქვეყანაში ან სავაჭრო ზონაში, იმ არგუმენტით, რომ აღნიშნული პროდუქტი არ არის წარმოშობილი პრეფერენციულ ქვეყანაში.¹⁵⁹

მეორე მხრივ, საქონლის წარმოშობის არაპრეფერენციული წესების ზედმეტად ლიბერალურმა განმარტებამ და გამოყენებამ შეიძლება კონკრეტული ქვეყნის სპეციფიკაზე მორგებული ვაჭრობის შემაკავებელი ზომები გააერცულოს ისეთ პროდუქტებზე, რომლებიც სხვა შემთხვევაში გათავისუფლებული იქნებოდნენ მათგან, იმ არგუმენტით, რომ აღნიშნული პროდუქტი, მიუხედავად იმისა, რომ იგი ბოლოს არსებითად გადამუშავებული იქნა მესამე ქვეყანაში, რეალურად წარმოიშვა არაპრივილეგირებულ ქვეყანაში.¹⁶⁰

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ თანამედროვე სავაჭრო პოლიტიკაში მიმდინარე „პრივატიზაციაზე“, რომელიც საქონლის წარმოშობის წესებზე დაფუძნებული პროტექციონიზმის მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენს, გავლენას ხშირად ახდენენ ინდუსტრიული ლობისტები, რომლებიც, თავისი სიძლიერისა და გავლენის შესაბამისად, გადამწყვეტ როლს ასრულებენ ცალკეული სავაჭრო პროდუქტებისთვის მინიჭებული დაცვის დონის განსაზღვრაში.¹⁶¹

სტანდარტიზებული პრეფერენციული წარმოშობის წესების არარსებობის გამო, ამჟამად მოქმედი 300-ზე მეტი პრეფერენციული სავაჭრო შეთანხმება მოიცავს წარმოშობის წესებთან მიმართებით განსხვავებულ წესებს, რაც იწვევს არსებით ფრაგმენტაციას და ქაოსს საერთაშორისო სავაჭრო სამართალში და „სპაგეტის თასის ეფექტს“ („Spaghetti Bowl Effect“).¹⁶² პრეფერენციული სავაჭრო შეთანხმებები, ჩვეულებრივ, მოიცავს საქონლის წარმოშობის წესების განმსაზღვრელ თავისებურ კრიტერიუმებს და მათში დადგენილი წარმოშობის წესები განსხვავდება არა მხოლოდ ცალკეულ შეთანხმებებთან მიმართებაში, არამედ განსხვავებები ხშირად გხვდება სექტორების მიხედვითაც, რაც წარმოშობის წესების სისტემას ხდის კიდევ უფრო კომპლექსურს და, ამავდროულად, ართულებს პრეფერენციული წარმოშობის წესების ჰარმონიზაციის პროცესს გლობალურ დონეზე.¹⁶³

7. დასკვნა

საერთაშორისო სავაჭრო სამართლის დინამიკურ და კომპლექსურ ლანდშაფტში, საქონლის წარმოშობის წესები გადამწყვეტ როლს თამაშობს იმის განსაზღვრად, თუ რომელი სა-

¹⁵⁸ Harilal K. N., Beena P. L., Reining in Rules of Origin-Based Protectionism: A Critique of WTO Initiatives, *Economic and Political Weekly* 40, no. 51 (2005), 5426.

¹⁵⁹ LaNasa J. A. III., An Evaluation of the Uses and Importance of Rules of Origin, and the Effectiveness of the Uruguay Round's Agreement on Rules of Origin in Harmonizing and Regulating Them (1995), Chapter I.

¹⁶⁰ იქვე.

¹⁶¹ Harilal K. N., Beena P. L., Reining in Rules of Origin-Based Protectionism: A Critique of WTO Initiatives, *Economic and Political Weekly*, Vol. 40, No. 51 (2005), 5421.

¹⁶² The Impact of Rules of Origin on Trade, Report, *Kommerskollegium* 2012:1, 6, 14.

¹⁶³ იქვე, 15.

ქონელი მიიღებს შეღავათიან მოპყრობას სხვადასხვა სავაჭრო შეთანხმების ფარგლებში. აღნიშნული წესები აყალიბებს გლობალური ვაჭრობის კონტურებს, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საქონლის სავაჭრო ნაკადებზე და იცავს თავისუფალ ვაჭრობაში ჩართული ქვეყნების ინტერესებს.

წარმოშობის წესები პროდუქტის ეროვნული წარმოშობის განსაზღვრის მთავარი კრიტერიუმი. მათი პრაქტიკული მნიშვნელობა გამომდინარეობს იქიდან, რომ სავაჭრო გადასახადები და შეზღუდვები ხშირად დამოკიდებულია იმპორტირებული პროდუქტის წარმოშობაზე. წარმოშობის წესების მოქმედება ვრცელდება სხვადასხვა სახის სავაჭრო ღონისძიებებზე, როგორცაა ანტიდამპინგური გადასახადები, რაოდენობრივი შეზღუდვები, სატარიფო კვოტები, წარმოშობის აღნიშვნები და ა.შ. დროთა განმავლობაში წარმოშობის წესები უფრო და უფრო მნიშვნელოვანი გახდა სავაჭრო ურთიერთობებში, რადგან ქვეყნები ხშირ შემთხვევაში განსხვავებულად ეპყრობიან მსგავს იმპორტირებულ საქონელს მათი წარმოშობის ადგილის მიხედვით.

წარმოშობის წესებს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებათ საერთაშორისო სავაჭრო სამართალში, რადგან ისინი ითვალისწინებენ იმგვარ კრიტერიუმებს, რომლითაც განისაზღვრება საქონლის წარმოშობა, და უზრუნველყოფენ სავაჭრო შეთანხმებებთან შესაბამისობის დაცვასა და ვაჭრობის შეზღუდვის თავიდან აცილებას. არსებობის შემთხვევაში, წარმოშობის წესები ხელს უწყობს სამართლიან კონკურენციას სავაჭრო პარტნიორებს შორის, აძლიერებს ნდობასა და თანამშრომლობას და ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებას. ისინი ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ადგილობრივი ინდუსტრიების არაჯანსაღი კონკურენციისგან დაცვაში და ხელს უწყობენ სახელმწიფოთა ეკონომიკურ სტაბილურობას.

მიუხედავად მათი ფუნდამენტური მნიშვნელობისა, წარმოშობის წესებს, ამავდროულად, უამრავი გამოწვევა უკავშირდება. კერძოდ, წარმოშობის წესების გამოყენებასთან დაკავშირებით ეროვნულ მთავრობებს შორის არასაკმარისი ჰარმონიზაციის არსებობა ართულებს კომპანიების მიერ განსხვავებული წესების დაცვას. ამასთანავე, საქონლის წარმოშობის წესების ბოროტად გამოყენებამ ისინი შეიძლება პრაქტიკულად აქციოს პროტექციონისტული სავაჭრო პოლიტიკის ფარულ იარაღად, რომლითაც იზღუდება თავისუფალი ვაჭრობა. წარმოშობის წესებისთვის გამოწვევას წარმოადგენს ქვეყნებს შორის ჰარმონიზაციის ნაკლებობა, მათი ბოროტად გამოყენების რისკები და პრეფერენციული სავაჭრო შეთანხმებების მოქმედება ეროვნული არაპრეფერენციული წარმოშობის წესების პარალელურად, მასთან დაკავშირებულ ფრაგმენტაციასთან ერთად.

საქონლის წარმოშობის წესების გასაუმჯობესებლად და არსებული პრაქტიკული პრობლემების გადასაჭრელად, WTO-ის წარმოშობის წესების შესახებ შეთანხმება (ARO) მიზნად ისახავს წარმოშობის არაპრეფერენციული წესების ჰარმონიზაციასა და წარმოშობის შეფასებისთვის უფრო გამჭვირვალე, გამართული და პროგნოზირებადი იმპლემენტაციის პროცედურის განსაზღვრას. თუმცა, აღსანიშნავია, რომ მხოლოდ საქონლის წარმოშობის წესების ჰარმონიზაცია საკმარისი არ არის ეფექტის მიღწევად, და სანამ სახელმწიფოები განაგრძობენ სხვადასხვა ქვეყნიდან წარმოშობილ მსგავს პროდუქტებთან მიმართებაში არათანაბარი და დიფერენცირებული მიდგომის გამოყენებას, საქონლის წარმოშობის წესები დარჩება საკამათო, მაგრამ აუცილებელ ინსტრუმენტად საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში.

აღნიშნული გამოწვევების გათვალისწინებით, საქონლის წარმოშობის წესების გლობალური სისტემა საჭიროებს სისტემურ გაუმჯობესებასა და რეფორმირებას. უპირველეს ყოვ-

ლისა, აუცილებელია სავაჭრო შეთანხმებებში განხორციელდეს წარმოშობის წესების ფართო ჰარმონიზაცია და სტანდარტიზაცია, რისი მიღწევაც შესაძლებელია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ფარგლებში მრავალმხრივი ძალისხმევით ან რეგიონული ინიციატივებით, რომლებიც მიზნად ისახავს საქონლის წარმოშობის წესების კრიტერიუმების დაახლოებას. საქონლის წარმოშობის წესების ჰარმონიზაცია მენარმეებს მისცემს შესაძლებლობას, ისარგებლონ გამარტივებული პროცედურებით და გასწიონ ნაკლები ხარჯები შესაბამისობისთვის და, ასევე, ხელს შეუწყობს სავაჭრო ურთიერთობებში გამჭვირვალობისა და განჭვრეტადობის ზრდას. გარდა ამისა, საბაჟო ორგანოებისა და მენარმე სუბიექტებისთვის შესაძლებლობების განვითარება და მათი ტექნიკური ხელშეწყობა აუცილებელ ნაბიჯს წარმოადგენს წარმოშობის წესებთან შესაბამისობის და აღსრულების პროცესის გასაუმჯობესებლად. გარდა ამისა, წარმოშობის წესების კონტექსტში, სამომავლოდ მნიშვნელოვანი იქნება დაინტერესებული მხარეების ჩართულობისა და შესაბამისი კონსულტაციების პროცედურის გაუმჯობესება, რათა უზრუნველყოფილი იყოს საქონლის წარმოშობის წესების შესაბამისობა ბიზნესის საჭიროებებთან. გადამწყვეტილებების მიღების პროცესში დაინტერესებული პირების აქტიური ჩართულობით, სავაჭრო პოლიტიკის შემქმნელებს ექნებათ შესაძლებლობა, ბიზნესის წინაშე მდგარი გამოწვევები უკეთ გაიგონ და წარმოშობის წესები მათ ინტერესებს მოარგონ.

საქონლის წარმოშობის წესები ფუნდამენტურ როლს თამაშობს საერთაშორისო სავაჭრო სამართალში, მიუხედავად მათთან დაკავშირებული გამოწვევებისა და წინააღმდეგობებისა. აღნიშნული გამოწვევების დაძლევისა და საჭირო რეფორმების განხორციელებით, სავაჭრო პოლიტიკის შემქმნელებსა და დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ უზრუნველყონ, რომ წარმოშობის წესებმა განაგრძოს ფუნქციონირება საერთაშორისო სავაჭრო სამართლის ქვაკუთხედად და ხელი შეუწყონ ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებას საერთაშორისო მასშტაბით. საქონლის წარმოშობის წესების გაუმჯობესებისა და რეფორმირების გზით შესაძლებელია მოხდეს გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და ეფექტიანობის გაზრდა საერთაშორისო ვაჭრობაში, რაც უფრო მეტად გააძლიერებს ჩართული მხარეების ადაპტაციის უნარს გლობალური ვაჭრობის მუდმივად ცვალებად დინამიკასთან და გაუმარტივებს მათ კომპლექსურ მიწოდების ჯაჭვებთან გამკლავებას. ეფექტიანი და მკაფიოდ განსაზღვრული წარმოშობის წესების არსებობა უზრუნველყოფს ექსპორტიორებისა და იმპორტიორებისთვის განჭვრეტადი და ჰარმონიზებული სისტემის შექმნას, რომლის გაანალიზება და შესრულება ნაკლებ სირთულესთან იქნება დაკავშირებული, რაც შეამცირებს სავაჭრო დავების რისკს.

ამგვარად, საქონლის წარმოშობის წესებს შეუძლიათ მომავალშიც გააგრძელონ არსებითი როლის თამაში დაბალანსებული და სამართლიანი სავაჭრო ლანდშაფტის შექმნაში, რომელიც სარგებელს მოუტანს დაინტერესებულ მხარეებს და გააღრმავებს ეკონომიკურ ინტეგრაციასა და თანამშრომლობას გლობალურ დონეზე.

ბიბლიოგრაფია:

1. ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებასა და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, 27/06/2014.
2. საქართველოსა და ევროკავშირის შეთანხმება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ (DCFTA), 27/06/2014.
3. საქართველოს პარლამენტის დადგენილება Nr. 841 „საქონლის აღწერისა და კოდირების ჰარმონიზებული სისტემის შესახებ“ საერთაშორისო კონვენციასთან შეერთების თაობაზე, 23/12/2008.

4. საქართველოს მთავრობის დადგენილება №453 „საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის კრიტერიუმების, წარმოშობის დამადასტურებელი სერტიფიკატის ფორმის, მისი შევსებისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“, 16/09/2019.
5. საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №21 „საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) დამტკიცების თაობაზე“, 26/01/2024.
6. Agreement on Rules of Origin (ARO), WTO, Marrakesh Agreement Establishing the World Trade Organization, 15/04/1994.
7. General Agreement on Tariffs and Trade (GATT), Marrakesh Agreement Establishing the World Trade Organization, 15/04/1994.
8. International Convention on the Harmonized Commodity Description and Coding System, World Customs Organization, 1/01/1988.
9. Pan-Euro-Mediterranean Regional Convention on Preferential Origin, 26/03/2012.
10. Tokyo Round Agreements, Decision of the Contracting Parties of GATT on “Differential and More Favourable Treatment Reciprocity and Fuller Participation of Developing Countries”, 28/11/1979.
11. Uruguay Round Agreements, Decision on “Measures in Favour of Least-Developed Countries”, World Trade Organization, 15/04/1994.
12. Augier P., Gasiorrek M., Lai Tong C., Martin P., Prat A., The Impact of Rules of Origin on Trade Flows, Economic Policy, Jul., 2005, Vol. 20, No. 43 (Jul., 2005), 567, 569-624.
13. Barcelo J.J., Harmonizing Preferential Rules of Origin in the WTO System (December 19, 2006), Cornell Legal Studies Research Paper No. 06-049.
14. Chase K. A, Protecting Free Trade: The Political Economy of Rules of Origin, International Organization, Summer, 2008, Vol. 62, No. 3 (Summer, 2008), 507-530.
15. Das R. U., Ratna R. S., Perspectives on Rules of Origin, 2011, First edition, Palgrave Macmillan.
16. De Wulf L., Sokol J. B., Customs Modernization Handbook, 2005.
17. Estevadeordal A., Suominen K., Rules of Origin in the World Trading System (2003).
18. Falvey R., Reed G., Economic Effects of Rules of Origin, Weltwirtschaftliches Archiv, 1998, Bd. 134, H. 2 (1998), pp. 209-229, Published by: Springer.
19. Forrester I.S., EEC Customs Law: Rules Of Origin and Preferential Duty Treatment, Part I, Reprinted from European Law Review Vol. 5, No. 3. June 1980.
20. Gourdon J., Gourdon K., De Melo J., A (More) Systematic Exploration of the Trade Effect of Product-Specific Rules of Origin, World Trade Review (2023), 22, 421–435.
21. Harilal K. N., Beena P. L., Reining in Rules of Origin-Based Protectionism: A Critique of WTO Initiatives, Economic and Political Weekly 40, no. 51 (2005): 5419–5427.
22. Inama S., Rules of Origin in International Trade, 2022.
23. Krajewski M., Wirtschaftsvölkerrecht, 4. Auflage, 2017.
24. LaNasa J. A. III., An Evaluation of the Uses and Importance of Rules of Origin, and the Effectiveness of the Uruguay Round's Agreement on Rules of Origin in Harmonizing and Regulating Them (1995), Jean Monnet Working Paper.
25. LaNasa J. A. III., Rules of Origin and the Uruguay Round's Effectiveness in Harmonizing and Regulating Them, The American Journal of International Law, Oct., 1996, Vol. 90, No. 4 (Oct., 1996), 625-640.
26. Matsushita M., Schoenbaum T. J., Mavroidis P. C., Hahn M., The World Trade Organization Law, Practice, and Policy, Third edition, 2017.
27. Nell P. G., WTO Negotiations on the Harmonization of Rules of Origin, 33 (3) Journal of World Trade (1999), 45-71.
28. Satapathy C., Rules of Origin: A Necessary Evil?, Economic and Political Weekly, 1998, Vol. 33, No. 35 (1998), 2270-2271.

29. *Simpson J.P.*, Rules of Origin in Transition: A Changing Environment and Prospects for Reform, Law and Policy in International Business 22, no. 4 (1991): 665-672.
30. *Van den Bossche P., Zdouc W.*, The Law and Policy of the World Trade Organization: Text, Cases, and Materials. 5th ed., Cambridge University Press, 2021.
31. *Weiler J. H. H., Cho S., Feichtner I., Arato J.*, International and Regional Trade Law: The Law of The World Trade Organization, 2016.
32. *Weiß W., Ohler C., Bungenberg M.*, Welthandelsrecht. 3. Auflage, 2022.
33. Kommerskollegium, Sweden, The Impact of Rules of Origin on Trade, 2012:1 – A Comparison of the EU's and the US's Rules for the Textile and Clothing Sector, National Board of Trade, March 2012.
34. United Nations Conference on Trade and Development (UNCTAD), Rules of Origin and Origin Procedures Applicable to Exports from Least Developed Countries, UNCTAD series, 2011, United Nations Publication.
35. World Customs Organization (WCO), Comparative Study on Preferential Rules of Origin, Version 2017, 20/06/2017.
36. World Customs Organization (WCO), Rules of Origin Handbook, 6/12/2012.
37. *SDI Technologies, Inc. v. United States*, 977 F. Supp. 1235 (Ct. Int'l Trade 1997), United States Court of International Trade.
38. *Torrington Co. v. United States*, 764 F.2d 1563 (Fed. Cir. 1985), United States Court of Appeals, Federal Circuit.
39. *Territory of Hawaii v. Harry M.Y. Ho.*, No. 3078, 41 Haw. 565, 571 (1957).
40. *United States v. Gibson-Thomsen Co.*, 27 C.C.P.A. 267 (1940).
41. *Anheuser-Busch Ass'n v. United States*, 207 U.S. 556, 562 (1908).
42. *Hartranft v. Wiegman*, 121 U.S. 609, 615 (1887).